საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 247 (526) ხუთშაბათი, 3 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

1-2 დეკემბერი

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 1 დეკემბერს, გამთენიისას მოწინააღმდეგემ დაიწყო აქტიური საბრძოლო მოქმედება მდინარე გუმისთასთან, გახსნა ინტენსიური ცეცხლი და გამოიყვანა მძიმე ტექნიკა. ჩვენი პოზიციების მიმართულებით მათი ნაღმსატყორცნებიდან გამოსროლილი რამდენიმე ჭურვი კვლავ აფეთქდა სოხუმის ახალ რაიონში, მოქალაქეთა შორის არიან დაჭრილები. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს გაუხსნეს საპასუხო ცეცხლი, რის შედეგადაც მოსპობილ იქნა სათვალთვალო და საცეცხლე პუნქტი სოფელ კუტიშხაში, მასში მყოფ მტრის არანაკლებ 20 მოთარეშესთან ერთად. გარდა ამისა, სოფელ კუტიშხასა და ზემო ეშერას შორის განადგურებულ იქნა ქვეითთა საბრძოლო მანქანა.

ჩვენს მხარეს მსხვერპლი არ არის, მსუბუქი კონტუზია მიიღო მხოლოდ ერთმა მებრძოლმა.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, დღის პირველ ნახევარში აქ შედარებით სიწყნარე იყო. დიდი მასშტაბის შეტაკებები არ მომხდარა.

ნაშუადღევს მოხდა შეტაკება სოფელ ტამიშთან. ჩვენმა არტილერიამ დაბომბა მოწინააღმდეგის პოზიციები და მტერს მიაყენა საგრძნობი ზარალი.

ამავე დროს საბრძოლო მოქმედება გრძელდებოდა მდინარე გუმისთასთანაც. მტერმა საბრძოლო პოზიციებზე გამოიყვანა ტანკი, რომლის ჭურვებმაც სოფელ აჩადარაში დაანგრია ორი სომეხი მოქალაქის საცხოვრებელი სახლი. საპასუხო ცეცხლით მოწინააღმდეგის ტანკი დაზიანებულ და უკუქცეულ იქნა.

2 დეკემბერს, დილის 7 საათზე ჩვენი პოზიციების თავზე ფრენა დაიწყეს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა, რის შესახებაც რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას წარედგინა სათანადო პროტესტი.

იმავე დღის 18 საათსა და 20 წუთზე აფხაზმა ექსტრემისტებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ქალაქ სოხუმს, არის მსხვერპლი. წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 4 კაცი, დაიჭრა 22. ჭურვები გასკდა ბაზართან და საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საპასუხო ცეცხლით მოწინააღმდეგემ განიცადა ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი დანაკარგი, გარდა ამისა პირდაპირი დამიზნებით განადგურებულ იქნა მათი ტანკი.

ბრძოლა გრძელდება.

იოსებ გობეჩია.

●

ავარია თურქეთში

როგორც გუშინ გვაცნობეს, სტამბოლ-ანკარის გზატკეცილზე ავარია მოუვიდა თბილისიდან წასულ ავტობუსს, რომლის ნომერია A 22-48-AE მას დაეჯახა შემხვედრი თვითმცლელი მანქანა, დაიღუპა ავტობუსის 22 მგზავრი და ორი თურქი მოქალაქე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
-მოვლენა
კომენტარი**

გრიგოლ აბაშიძე

დიდება გმირებს

დიდება გმირებს
ჭაბუკ მეომრებს,
თავის გაწირვის მათს ნიჭს და უნარს,
ვინც წინაპრების გზას იმეორებს,
კვდება და სიკვდილს სიკვდილით თრგუნავს!

ცეცხლით ათენებს ვინც დილა სისხამს,
ღამეს ისე სტეხს, თვალს ვერ მილულავს
და უკვდავების ძლიერ ფრთებს ისხამს,
როცა ბრძოლაში კვდება გმირულად!

თავს ველარ ვუყრი სამძიმრად სათქმელს,
ყელში ცრემლები მაწვება ბურთად...
მათ საკუთარი სიცოცხლე დათმეს,
რადგან სამშობლოს სიცოცხლე სურდათ!

და მკერდზე მინდა მე მათი მირქმა,
გმირული ვისიც გვესმის ძახილი,
ვისაც მამულზე ღლედალამ ფიქრმა
აალებინა ხელში მახვილი.

დიდება გმირებს — ქართველ მეომრებს,
თავის გაწირვის მათს ნიჭს და უნარს,
ვინც წინაპრების გზას იმეორებს,
კვდება და სიკვდილს სიკვდილით თრგუნავს!

2-XII-92 წ.

ქართული შეიარაღებული ძალების სარდლობა იძულებული გახდა დაეწყო ფართო მასშტაბის ოპერაციები, რის შედეგადაც პოზიციები დაბრუნებულია

საქართველოს უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომა

30 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების და თავდაცვის საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე თავმჯდომარეობდა.

განიხილეს ოჩამჩირის ზონაში შექმნილი ვითარება. აღინიშნა, რომ ბოლო დღეებში ამ ფრონტზე შედარებით სიმშვიდე იყო. ქართული ძალები არ აწარმოებდნენ სამხედრო ოპერაციებს, არ ატარებდნენ „აქტიურ" პოლიტიკას, რამაც შექმნა იმის წანამძღვრები, რომ აფხაზი და ქართველი მოსახლეობის კონტაქტები გაფართოებულიყო. ფაქტობრივად აღდგა სოფლების ურთიერთობა და დაისახა მშვიდობიანი ურთიერთობის გზები. მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზური მხარე, ისევე როგორც გაგრაში, მუხანათურად დაესხა თავს ქართულ პოზიციებს. არის მსხვერპლი. ქართული შეიარაღებული ძალების სარდლობა იძულებული გახდა დაეწყო ფართო მასშტაბის ოპერაციები, რის შედეგადაც პოზიციები დაბრუნებულია. დაიღუპა ჩვენი ორი ჯარისკაცი, მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. აფხაზთა მხარეს იბრძოდა ბევრი დაქირავებული.

საბჭომ დასახა ამ ზონაში ვითარების გაჯანსაღების ღონისძიებანი. საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთის კორპუსის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი პაატა დათუაშვილი.

სხდომაზე განიხილეს სოხუმსა და ოჩამჩირეში სამხედრო წესების შემოღების ღონისძიებანი, რომლებიც შემდეგ პარლამენტის სხდომაზე დამტკიცდა.

საბჭოს სხდომამ დაამტკიცა რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურის სქემა და თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი კამკამიძე დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლად.

საბჭომ ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსად დანიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი კამკამიძე. მას დაევალა დანიშნოს ქალაქის კომენდანტი, რომელიც პასუხს აგებს ქალაქში და თბილისის აეროპორტში წესრიგისთვის.

საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალა სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც კარგად იქნება ორგანიზებული და შეიარაღებული და ქალაქს შეიარაღებული ბანდებისგან გაწმენდს. შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა შექმნას სპეცდანიშნულების პოლკი, რომელსაც დაევალება წესრიგის დამყარება თბილის-ბათუმის, თბილის-სოხუმის, თბილის-ყაზბეგისა და თბილის-წითელხიდის ტრასებზე.

საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შემოღებულია აღმზრდელობითი მუშაობის ინსტიტუტი. თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა შესაბამისი განყოფილება.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

დადგა ჟამი კონკრეტული მოქმედებისა

ახლადშექმნილი მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომიდან



1992 წლის 2 დეკემბერს საქართველოს მთავრობის სხდომათა დარბაზში პირველად შეიკრიბა ახლადშექმნილი მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც რესპუბლიკის პარლამენტმა მისცა უფლებამოსილებანი განახორციელოს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება.

პირველი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

— სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, იმსჯელა აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. კერძოდ, განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო გზების კანონპროექტი და გადაწყვიტეს წარუდგინონ იგი რესპუბლიკის პარლამენტს დასამტკიცებლად, სხდომაზე იმსჯელეს 1992 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის დაწესებულებების მიერ 1991 წლის 1 იანვრამდე მოზიდულ მოსახლეობის ანაბრებზე დასარიცხი პროცენტების გამოყოფის შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოს შემნახველ ბანკს მოსახლეობის ანაბრებზე დასარიცხად და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად 1157 მილიონი მანეთი.

მთავრობამ მიიღო დადგენილება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სახელზე გაცემული თამასუქის ნაწილობრივი განაღდების შესახებ, რომელიც შეადგენს 116701 ამერიკულ დოლარს. ასევე მიღებულია დადგენილება საერთაშორისო სავალუტო ფონდში საქართველოს რესპუბლიკის გაზრდილი კვოტის გადახდის შესახებ.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა იმ სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებსაც გადაევადათ ამა წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით რიცხული დავალიანებით არაუზრუნველყოფილი ბანკების ვადაგადაცილებული სესხები.

მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილებები, რკინიგზაზე უბედური შემთხვევებისაგან მგზავრების აუცილებელი სახელმწიფო დაზღვევის შესახებ და რკინიგზის ტრანსპორტის მგზავრთა საგარეუბნო გადაყვანის ტარიფების მოწესრიგების თაობაზე.

მოკლე ინფორმაცია რესპუბლიკაში 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის პრინციპების შესახებ გააკეთა ფინანსთა მინისტრმა კახი პოპიაშვილმა. განიხილეს რესპუბლიკაში ნავთობპროდუქტების მომარაგება-განაწილების გაუმჯობესების ღონისძიებანი, სხვა საპირბოროტო საკითხები და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

(სხდომის უფრო ვრცელი ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ ნომერში).

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის ახალი მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომის დროს.
იოსებ დავითაშვილის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნომერში

⊙ კულტურა საკანონმდებლო ვაკუუმში. — 2

⊙ კავკასია — წარსული, აწმყო, მომავალი. — 3

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობის შესახებ

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის მიღებამდე დამტკიცდეს საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

1. **ედუარდ შევარდნაძე** — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური — ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი,
2. **თენგიზ სიგუა** — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,
3. **ჯაბა იოსელიანი** — ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,
4. **თენგიზ კიტოვანი** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,

საბჭოს წევრები:

5. **ირაკლი ბათიაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი,
6. **ალექსანდრე კავსაძე** — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე,
7. **ანატოლი კამკამიძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი,
8. **ნოდარ ნათაძე** — საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და ეროვნული უშიშროების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე,
9. **თედო ნინიძე** — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი,
10. **ალექსანდრე ჩიკვაიძე** — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი,
11. **თემურ ხაჩიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური,
შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის დებულების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
დამტკიცდეს აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 1 დეკემბერი.

აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის დებულება

1. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისია შექმნილია პარლამენტის მიერ და მისი საქმიანობა შეწყდება პარლამენტის გადაწყვეტილებით.
2. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის ძირითადი ამოცანაა აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, დამუშავება და შესაბამისი კანონპროექტების, აგრეთვე სხვა დოკუმენტების და წინადადებების შემოტანა პარლამენტში განსახილველად და დასამტკიცებლად.
3. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისია სარგებლობს პარლამენტის მუდმივი კომისიის ყველა უფლებით.
4. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის მიერ არჩეულ თავმჯდომარეს ამტკიცებს პარლამენტი. კომისია ირჩევს თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.
5. აფხაზეთის საქმეთა დროებით კომისიას აქვს უფლება აწარმოოს პოლიტიკური მოლაპარაკება აფხაზური მხარის უფლებამოსილ წარმომადგენლობასთან.
6. კომისიის წარმომადგენლები მონაწილეობენ მოლაპარაკებებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, თუ ამ მოლაპარაკებებზე განიხილება აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური ასპექტები.

აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადება

1992 წლის 2 დეკემბერს 18 საათსა და 30 წუთზე აფხაზთა მხრიდან არტილერიის ცეცხლი დაუშინეს სოხუმის საცხოვრებელ უბნებს. ჭურვი მოხვდა სოხუმის ცენტრალური ბაზრის ტერიტორიას, რის შედეგადაც დაიღუპა რვა კაცი, ამათგან — 6 რუსი ეროვნებისა, დაიჭრა 37 კაცი. ერთი ჭურვი მოხვდა სასწრაფო დახმარების მანქანას. იმავდროულად არტილერიის ცეცხლს უშენდნენ ქართველთა პოზიციებს.

ჭურვები მოხვდა საცხოვრებელ უბნებშიც, სადაც ასევე არიან დაჭრილები. მოწინააღმდეგის ცეცხლის წერტილები ამოფარებული იყო რუსეთის სამხედრო ნაწილების განლაგებას. კერძოდ ქვემეხები განლაგებული იყო სკოლის ახლოს ეშერაში, რუსეთის სამხედრო ნაწილის უშუალო სიახლოვეს. 14 საათსა და 30 წუთზე საქართველოში აფხაზეთის რეგიონში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სამხედრო სარდლობას აცნობეს და გააფრთხილეს, რომ უნდა განხორციელებულიყო რუსეთის ჯარების პირადი შემადგენლობის, მათი ოჯახებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების ღონისძიებანი.

ქართველთა მხარე განახორციელებს მოწინააღმდეგის ცეცხლის წერტილების განადგურების შესაბამის ღონისძიებებს. თუ რუსეთის სარდლობა არ მიიღებს საიმისო ზომებს, რომ მოწინააღმდეგის ცეცხლის წერტილები მოაშოროს რუსეთის ჯარების დისლოცირების ადგილებს, მათი შემდგომი პროტესტი არ იქნება მიღებული, ხოლო ნებისმიერი ძალის გამოყენება შეფასდება, როგორც პირდაპირი აგრესია საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

რაც შეეხება აფხაზ სეპარატისტებს, ქართველთა მხარე აფრთხილებს, რომ შეასრულებს ქართველთა მხრივ მათდამი წაყენებული ულტიმატუმის ყველა პუნქტს, სამოქალაქო მოსახლეობის დაღუპვისათვის მთელი პასუხისმგებლობა კი დაეკისრება აფხაზთა მხარეს.

ვითარდება საქართველო—თურქეთის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა

თენგიზ სიგუა ესაუბრა ართვინის დელეგაციას

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ მიიღო თურქეთის ქალაქ ართვინის მუნიციპალიტეტისა და საქმიანი წრეების დელეგაცია ქალაქის მერის ყადირ ხალვაშის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ქალაქის პირველი ვიცე-მერი ამედ ზიბერი, ვიცე-მერი ეკონომიკისა და ფინანსების დარგში მალიქ ბაკუჩი, სხვა ოფიციალური პირები და ბიზნესმენები.

გაიმართა საქმიანი საუბარი, რომლის დროსაც ბატონმა ყადირ ხალვაშმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სპეციალური ტრანსპორტის რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსმა", გენერალური დირექტორის შოთა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, მიუხედავად სიძნელეებისა, დასახულ დარგში მაღალკვალიფიციურ დონეზე შეასრულა ქ. ართვინისა და მისი მიმდებარე ნაწილის კურორტ კაჩკარისთვის ეკოლოგიურად სუფთა ავტომატიზებული სამგზავრო საბაგირო ტრანსპორტის სისტემებისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტიული სქემა, რომელიც დაამტკიცა ქალაქის მუნიციპალიტეტმა. ამ სქემით გათვალისწინებული 7 სამგზავრო ზიგზაგის მშენებლობა [illegible] შეცვლის ქალაქის იერსახეს.

„საქსპეცტრანსმა" ურთიერთხელსაყრელი კონტრაქტების საფუძველზე უკვე შეასრულა პირველი რიგის 3 სამგზავრო საბაგიროს და საწარმო ბაზის ობიექტების წინასაპროექტო სამუშაოები, მათი მშენებლობის ღირებულება 8 მილიონ დოლარს აღემატება. მიღებული შეთანხმების შესაბამისად, ამ ღირებულების ნახევარს თურქეთის მხარე ნატურით — სურსათით გადაგვიხდის.

მთიანი რაიონების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მრავალდარგოვანი ასოციაცია „ბორჯომის", „საქსპეცტრანსისა" და ართვინის მუნიციპალიტეტის ერთობლივი საწარმოს „ინტერბაგირგზის" შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე საქართველო-თურქეთის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

„საქსპეცტრანსის" ინსტიტუტ „ტრანსავტომატიკის" საინჟინრო-ლაბორატორიულ კორპუსში დაბინავდება ართვინის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კი მომავალ თურქ ინჟინრებს მოამზადებენ.

ბატონმა ყადირ ხალვაშმა მადლობა გამოთქვა იმ სპეციალური დადგენილებისთვის, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო ართვინში საბაგირო ტრანსპორტის სისტემების განვითარების უზრუნველსაყოფად.

თავის მხრივ, ართვინის მუნიციპალიტეტი, აღნიშნა მან, ღირსეულ წვლილს შეიტანს საქართველო-თურქეთის მჭიდრო კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის დასამყარებლად.

შეხვედრამ გულთბილ და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში ჩაიარა.

გულახდილი საუბარი

1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ-სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროსთან არსებული საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო განგაშის" ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც რამდენიმე კვირაა საქართველოში იმყოფება და სწავლობს აფხაზეთში არსებული კონფლიქტის პრობლემებს. როგორც გვაუწყებდნენ, ექსპერტთა ჯგუფი აფხაზეთში იყო და სახელმწიფოს მეთაურს გააცნო იქ ჩასვლის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები.

გაიმართა გულახდილი საუბარი ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხებზე.

„საერთაშორისო განგაში" ისეთი ორგანიზაციაა, რომლის ექსპერტებსაც მაღალი რეიტინგი აქვთ მსოფლიოში. დელეგაციაშია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე პოლ ჰენზე, რომელიც პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციის დროს სახელმწიფო მდივნის ზ. ბჟეზინსკის მოადგილე იყო და კავკასიის საკითხთა საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ექსპერტად ითვლება.

„საერთაშორისო განგაშის" ექსპერტთა ჯგუფი საქართველოში კიდევ ერთ კვირას იმუშავებს.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

„საკუთარი რესურსების ამოქმედებით შეგვიძლია რეალურად ვიხსნათ ქვეყანა“

შეხვედრა ბიოქიმიის ინსტიტუტში

2 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე სერგი დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტს ეწვია.

ინსტიტუტში, რომელიც რესპუბლიკის ბიოქიმიური მრეწველობის ცენტრს წარმოადგენს, 360 თანამშრომელი მუშაობს. ამ უდიდესი კოლექტივის მაღალინტელექტუალურ პოტენციალზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათგან 150 მეცნიერი თანამშრომელია. 1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 5 — წევრ-კორესპონდენტი და 14 მეცნიერებათა დოქტორი.

ინსტიტუტში ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, მოქმედებს საცდელ-ექსპერიმენტული ლაბორატორია, რომელიც უმნიშვნელოვანეს თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას აწარმოებს ჩვენს რესპუბლიკაში არსებული რესურსების ასამოქმედებლად და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების სამსახურში ჩასაყენებლად. აქ მიმდინარეობს ინტენსიური მეცნიერული მუშაობა ბუნებრივი მცენარეული სალებავების, ბიოსტიმულატორების, ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტების, ახალი ეთერზეთების, სამედიცინო დანიშნულების პრეპარატების, ცხოველთა საკვების, ცილებისა და სხვა ძვირფასი კომპონენტების, შაქრის მიღების ტექნოლოგიების შესამუშავებლად.

8 საათზე მეტი ხნის განმავლობაში, რომელიც ინსტიტუტის საქმიანობის, გეგმების, პრობლემების საფუძვლიან შესწავლას მიეძღვნა, სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ინსტიტუტის ყველა რგოლის წარმომადგენლებს, დაათვალიერა ბიოტექნოლოგიური, საექსტრაქციო, საგრანულაციო, საშრობი საამქროები, ახლოს გაეცნო მათი მუშაობის სპეციფიკას.

— ყველაფერი, რაც აქ ვნახე, — განაცხადა კოლექტივთან შეხვედრაზე ბატონმა შევარდნაძემ — მაიმედებს, რომ **შეგვიძლია საკუთარი რესურსების ამოქმედებით**, ჩვენივე შესაძლებლობათა ეფექტიანად გამოყენებით, **რეალურად ვიხსნათ ქვეყანა**. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მიერ წარმოებული ინტენსიური მეცნიერული გამოკვლევების შედეგის დანერგვა არცთუ შორეული პერსპექტივაა.

სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება გაამახვილა უკვე შემუშავებული ტექნოლოგიების პრაქტიკაში დაუყოვნებლივ დანერგვის აუცილებლობაზე, გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, რაც შეიძლება მოკლე დროში ინსტიტუტში წარმოებულმა გამოკვლევებმა მიიღოს პროგრამის სახე, რომლის ძირითადი მიმართულებები სახელმწიფოებრივ მიმართულებებად ჩამოყალიბდება. მიზანშეწონილად მიიჩნია ბიოქიმიის ინსტიტუტთან სხვა ინსტიტუტების თანამშრომლობა და მათი ერთობლივი საქმიანობის შესახებ კომპლექსური პროგრამის შემუშავება. სახელმწიფოს მეთაურმა მადლიერება გამოხატა ინსტიტუტის კოლექტივისადმი უაღრესად საჭირო და ნაყოფიერი საქმიანობის გამო და აღუთქვა ხელისუფლებისა და მთავრობის მხრივ დახმარება.

ბიოქიმიის ინსტიტუტში ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მეგზურობას უწევდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ინსტიტუტის დირექტორი გიორგი კვესიტაძე.

მაია ალუდაური.

სიტყვა პარლამენტის კომისიის თავმჯდომარეს

ელდარ შენგელაია — თვალსაჩინო კინემატოგრაფისტი.

მის ბიოგრაფიაში ციფრი სამიანი განსაკუთრებით ფიგურირებს, ყოველ შემთხვევაში, მრავალთაგან ხუთი უმთავრესი ცხოვრებისეული მომენტი სამიანთან არის დაკავშირებული.

დაიბადა 1933 წელს.

„თეთრი ქარავანი“ ეკრანზე გამოვიდა 1963 წელს.

„შერეკილები“ — 1973 წელს.

„ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ —1983 წელს.

ახალი ფილმი „ექსპრეს-ინფორმაციაც“ ეკრანზე 1993 წელს გამოვა.

გული მწყდება, რომ მისი კიდევ ერთ-ერთი შედევრი „არაჩვეულებრივი გამოფენა“, ვთქვათ, 1953 წელს არ არის გადაღებული. 20 წლის ახალგაზრდას ეს რომ მოეხერხებინა, არა მარტო „არაჩვეულებრივი გამოფენის“, არაჩვეულებრივი მოვლენის ავტორიც გახდებოდა.

ეს ისე, ხუმრობით, თორემ სხვადასხვა დროს გადაიღო სხვა ჩინებული ფილმებიც — „მიქელა“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“. თითქმის ყველა მისი ფილმი სხვადასხვა კინოფესტივალის პრიზიორი და დიპლომანტია.

ელდარ შენგელაია — პოლიტიკოსი.

„9 აპრილის“ შემდეგ განსაკუთრებულად აქტიურად ჩაება პოლიტიკაში. ჯერ ცდილობდა საქართველოს ინტერესები დაეცვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, რის შედეგადაც „კრემლის აგენტად“ მოინათლა. 1991 წელს აქტიურად იბრძოდა პოსტკომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. სამართალმაც „პური ჭამა“. ის, ვინც ღალატს სწამებდა, თავად აღმოჩნდა კრემლის აგენტთა გვერდით, ელდარ შენგელაია კი კვლავ სამშობლოშია და განაგრძობს კინორეჟისორობას, მოღვაწეობს პოლიტიკურ ასპარეზზეც. დღეს იგი თავმჯდომარეობს ეროვნული პარლამენტის კულტურის კომისიას, რომლის მომავალ მუშაობაზეც ვესაუბრებით.

შემოქმედის უფლება და კანონი

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

— ბატონო ელდარ, ხალხი თანდათან ერკვევა პარლამენტის მუშაობაში, რომელსაც თვალყურს ადევნებს ტელევიზიით. კომისიების მუშაობა კი არ ჩანს და შესაძლოა, ვერც გამოჩნდეს ეკრანზე, არადა, რამდენადაც წარმოგვიდგენია, იგი პარლამენტის თავისებური ლაბორატორიაა. გთხოვთ უფრო წვრილად გაგვაცნოთ, — უწინარესად რა საქმეს მოჰკიდებთ ხელს?

— მე მაინც მინდა გამოვკვეთო ფუნქციები, რადგან ხელისუფლების უმაღლესი ორგანო— პარლამენტი ჩვენში ჯერ კიდევ ღრმად ჩაბეჭდილი ფსიქოლოგიის გამო ხალხმა აღიქვა იმ ორგანოდ, რომელმაც ყველა საკითხი უნდა გადაწყვიტოს, როგორც ადრე, მაგალითად, პარტიის ცეკა წყვეტდა. შემდეგ ამასვე შეეჩვივნენ უზენაესი საბჭო და მისი კომისიები. დღეს ზუსტად უნდა განვსაზღვროთ პარლამენტისა და კომისიების ფუნქციები.

ხელისუფლების უზენაესობა პარლამენტში იმით გამოიხატება, რომ იგი ქმნის კანონს, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს. კომისიები კი ის საამქროებია, სადაც უნდა მომზადდეს კანონები. აი, ეს უნდა იცოდეს ხალხმა, თორემ რა გამოვიდა, კომისია ჯერ არც კი ჩამოყალიბებულა და უკვე უამრავი განცხადება და საჩივარი მოსდის. მოქალაქეთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ კომისია აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებებში ვერ ჩაერევა. იგი იმსჯელებს მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ირღვევა კანონმდებლობა, როგორ ხორციელდება იგი ცხოვრებაში და რამდენად ილახება მოქალაქის უფლება.

— როგორ გგონიათ, უწინარესად რომელი კანონები უნდა მოამზადოს თქვენმა კომისიამ?

— ჩვენი კულტურა დღეს პრაქტიკულად საკანონმდებლო ვაკუუმშია. ის კანონები, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დროს მოქმედებდა, როგორც მოგეხსენებათ, რეგლამენტით ზღუდავდა ხელოვნებას, თავის „ჩარჩოებში“ სვამდა. ის იყო იდეოლოგიური ხელმძღვანელობის პერიოდი და კანონიც აქედან გამომდინარეობდა. ყოფილმა ხელისუფლებამაც ფაქტიურად დაიწყო — რეგლამენტირება თავისი შეხედულებების მიხედვით, ესე იგი, ისევ იდეოლოგიური ხელმძღვანელობა. [illegible] ამის გამო, ჩემი აზრით, უპირველესად მისაღებია ხელოვანის, შემოქმედის უფლებების დაცვის საკანონმდებლო აქტები. თავისუფალი შემოქმედის უფლება კანონით უნდა დაიცვათ.

აი, ეს გახლავთ ფუნდამენტური კანონი, რომელიც უწინარესად უნდა მომზადდეს.

კანონის ძალით, ცხადია, სახელმწიფოს და კულტურას თავისებური ურთიერთობა იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ კანონით სახელმწიფოს როლი კულტურის სფეროში. მას უნდა მივანიჭოთ ის უფლება, რომ იყოს კულტურის დამცველი, მფარველი, და არა ხელმძღვანელი. ჩემი აზრით, ეს მკვეთრად უნდა გამოიხატოს. ალბათ, ამის შესაბამისად განხორციელდება კულტურის სფეროში მოქმედი სახელმწიფო სტრუქტურათა რეფორმები.

ეტყობა, მისაღები იქნება კანონი ან კანონები, რომლებიც სათანადო პირობებს შეუქმნის კულტურის განვითარებას და დაცვას. მოგეხსენებათ, კულტურას და საერთოდ ჰუმანიტარულ სფეროს, ისევე, როგორც ყველაფერს, სახსრები სჭირდება. იგი დიდ ხარჯებს მოითხოვს, უშუალოდ მატერიალურ მოგებას კი არ იძლევა. აქ სახსრები იხარჯება სულიერ ღირებულებათა შესაქმნელად, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და საბოლოო შედეგი ფასდაუდებელია. მაგრამ რეალობა რეალობაა და ჩვენი გაღატაკებული სახელმწიფო ბევრს ვერ გაიღებს, ცოტა კი არ იკმარებს. ამიტომ, ვფიქრობ, ისეთი კანონი უნდა მოვამზადოთ, რომ კერძო სექტორისაგან გაღებული თანხა სახელმწიფომ არ დაბეგროს, რათა მისთვის ეს ხელსაყრელი იყოს.

ჩვენი დღევანდელი ყოფის შესაბამისად, აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ იმისთვისაც, რომ ისიც არ განიავდეს და განადგურდეს, რაც ახლა გვაქვს კულტურის სფეროში. ამიტომ კულტურის კომისიამ და მთავრობის სათანადო სტრუქტურებმა უნდა შევიმუშაოთ ისეთი ერთობლივი პროგრამა, რომელიც რეალობასაც გაითვალისწინებს და მომავალი საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებსაც.

— ფაქტობრივად, თქვენ უკვე გაეცით პასუხი ჩემს შემდეგ კითხვას კულტურის სამინისტროს ბედზე, როცა სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმირებაზე ილაპარაკეთ. ახლა საინტერესოა უშუალოდ კონცერნ „ქართული ფილმის“ მომავალი.

— დიახ, კულტურის სამინისტრო, ცხადია, ვერ დარჩება ძველებური სახით, მას რეორგანიზაცია დასჭირდება. როდის და როგორ, ამას დრო გვიკარნახებს. პირადად მე კონცერნს ვუყურებ, როგორც გარდამავალ სტრუქტურას. იგი დღეს გარკვეულ როლს შეასრულებს კინოს გადასარჩენად, სამომავლოდ კი, ვფიქრობ, იგი ვერ მოერგება იმ თავისუფალ ფორმებს, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს.

გულახდილად რომ ვთქვათ, პირადად ჩემთვის მისაღებია ფონდის არსებობა. საერთოდ, სამინისტროების სტრუქტურა ევროპული მოდელის გამოხატულებაა, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც კი საფონდო სისტემა მოქმედებს. მე მგონია, რომ იგი გაცილებით დემოკრატიულია, მიზანშეწონილია და საჯაროც. აქ ნათლად ჩანს, რისთვის ან ვისთვის იხარჯება ფული. ფონდი გაცილებით მეტ საშუალებას იძლევა, რომ ნიჭიერებს დაეხმარო ფინანსურად. ნიჭიერისა და უნიჭოს პრობლემა ხომ მუდამ დგას. სხვაა, როცა ნიჭიერ კაცს შეუქმნით პირობებს, და სხვაა, როცა საერთოდ შექმნით პირობებს ყველას. ეს მხოლოდ ჩემი აზრია.

კომისიის პირველ აუცილებელ ნაბიჯებზე უკვე ვისაუბრეთ, უფრო შორეულზე მაშინ ვიმსჯელებთ, როცა კომისია დაკომპლექტდება და მუშაობას შეუდგება.

— ვინ შეადგენს კომისიას?

— ცხადია, კომისიაში კულტურის ყველა მიმართულების წარმომადგენლები იქნებიან, ვეცდებით ექსპერტი იურისტიც. არ გამოვრიცხავ კონტრაქტების შესაძლებლობას, რომლის მიხედვით რომელიმე პრობლემის გადასაჭრელად მოვიწვევთ იურისტებს თუ ექსპერტს და ერთად ვიმუშავებთ. ერთი სიტყვით, ვეცდებით ისეთი მობილური სტრუქტურა შევქმნათ, რომელსაც რეაგირების ძალა ექნება.

— პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე გამოითქვა შიში — ამ თანამდებობამ კინორეჟისორი ელდარ შენგელაია არ დაგვაკარგვინოსო. როგორ გგონიათ, ფილმების გადაღებასაც მოასწრებთ?

— დღევანდელი დაძაბული ვითარების გამო ფილმების გადაღება ისედაც ჭირს და ამას ჩვენი აფორიაქებული სულიერი სამყაროს მდგომარეობაც ემატება, რაც ჩვენს გარშემო ხდება, მომავალში უკეთესად გამოჩნდება და აისახება კიდეც. ახლა ვამთავრებ ფილმს „ექსპრეს-ინფორმაცია“. დამდგმელ ჯგუფს გვინდოდა ჩვენი საერთო ვითარება და სულიერი მდგომარეობა შეძლებისდაგვარად აგვესახა. მე მგონი, გარკვეულწილად ეს შევძელით...

ჩემი ახალი ფილმის სცენარის ავტორი — მწერალი რეზო ჭეიშვილი ჩემსავით პარლამენტის წევრია და ჩვენი მომავალი ფილმიც, ალბათ, იმ საერთო ვითარებას ასახავს, რომელშიც ამჟამად ახალი სახელმწიფო ყალიბდება.

ესაუბრა
რუსუდან მუხიგულაშვილი.

საქართველო უბრუნდება ცივილიზებულ ერთა ოჯახს

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ბ-ნ თედო ჯაფარიძის გამოსვლა განიარაღებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიის პირველ კომიტეტში ზოგადი კამათის დროს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული ჟურნალის „დიზარმამენთ ტაიმსის“ (ეს გამოცემა რეგულარულად აანალიზებს განიარაღებასა და შეიარაღების კონტროლის სფეროში მიმდინარე რთულ და მრავალპროფილიან პროცესებს), მიმდინარე წლის 9 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი საზოგადოებისათვის, ალბათ, ფრიად საგულისხმო და საინტერესო სტატია, რომელიც საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებს იხილავს. აღნიშნული პუბლიკაცია კიდევ ერთი დადასტურება იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის გაეროში გაწევრიანება.

როგორც ცნობილია, საქართველოს საშუალება მიეცა გაერღვია ინფორმაციული ბლოკადა და უშუალოდ ეცნო მსოფლიოსათვის თავისი ჭირ-ვარამი. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო — საქართველო უკვე აქტიურად ჩაება მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და გაეროში საქმიანობის პირველი დღეებიდანვე მთელი რიგი კონსტრუქციული მოსაზრებებით წარსდგა ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფორუმის წინაშე.

„შემოდგომა, — აღნიშნავს ჟურნალი, — ტრადიციულად ყველაზე დაძაბული და გადატვირთული პერიოდია გაეროს განიარაღებისა და უსაფრთხოების პრობლემების კომისიის საქმიანობაში. ამ კომისიის მუშაობის მოცულობა ათმაგად გაიზარდა წელს, როდესაც გაეროს ამ მეტად ავტორიტეტული ორგანოს წინაშე წარსდგნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები“. თავისი მოსაზრებები კომისიას გაუზიარეს რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს და ბალტიის ქვეყნების დელეგაციებმა — ყურადღება გამახვილებული იყო ორ ძირითად მომენტზე: რაც შეიძლება გამიჯვნოდნენ ყოფილი „ცენტრის“ დოგმებს უსაფრთხოების სფეროში და წინა პლანზე წამოეწიათ საკუთარი კონცეფციები ამ მეტად რთულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც, ჟურნალის აზრით, „ხელს შეუწყობდა და გააძლიერებდა მათ სწრაფვას რეალური დამოუკიდებლობისაკენ“.

მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს საქართველოს ხელმძღვანელობის დავალებით, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე თედო ჯაფარიძე წარსდგა გაეროს განიარაღებისა და უსაფრთხოების პრობლემების კომისიის წინაშე, სადაც მან გააცნო საზოგადოებას საქართველოს ახალი ინიციატივები ამ სფეროში.

ჟურნალის აზრით, საქართველოს წარმომადგენლის მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრებები სცდება მხოლოდ კონფლიქტების თავიდან აცილების, მათი მოგვარების და მშვიდობის შენარჩუნების ცენტრების შექმნის იდეებს და ეხება რეგიონული უსაფრთხოების ახალი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც მომავალში გლობალურ უსაფრთხოებას დაედება საფუძვლად. „ფრიად მნიშვნელოვანია, — აღნიშნავენ პუბლიკაციის ავტორები, — რომ საქართველო, რომელიც დღეს პოლიტიკურად არასტაბილურია და გეოგრაფიულად დაუცველია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რეგიონული უსაფრთხოების რთულ, მრავალწახნაგოვან პრობლემებს“. ვითვალისწინებთ რა მკითხველთა დიდ ინტერესს, მთლიანად ვბეჭდავთ „დიზარმამენთ ტაიმსში“ გაშუქებულ ამ მოხსენებას.

(ბატონი თედო ჯაფარიძე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწედაა დანიშნული).

ბატონო თავმჯდომარევ,

ვინაიდან დღეს საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას პირველად უხდება სიტყვით გამოსვლა, ნება მიბოძეთ, გამოვხატო კმაყოფილება ამ კომიტეტის თავმჯდომარედ თქვენი არჩევის გამო. ეს როგორც თქვენი დიპლომატიური და პროფესიული თვისებების, ისე იმ მნიშვნელოვანი როლის აღიარებაა, რომელსაც დღევანდელ მსოფლიოში ეგვიპტე ასრულებს. ასევე ნება მიბოძეთ, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სახელით ღრმა მწუხარება გამოვხატო თქვენს ქვეყანაში მომხდარი მიწისძვრის გამო*.

ბატონო თავმჯდომარევ,

რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. ბატონი ედუარდ შევარდნაძე ხმათა დიდი უმრავლესობით არჩეულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ. ჩვენი ქვეყანა ხანმოკლე, გაუთვალისწინებელი გადახვევის შემდეგ კვლავ უბრუნდება ცივილიზებულ ერთა ოჯახს.

ჩვენ ახლახან შევუდექით დემოკრატიული აღმშენებლობის გზას. საბოლოო მიზანი ნათელია. რეფორმათა არსი უნდა მიესადაგოს ქვეყნის გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ ბუნებრივია, საქართველოს ეროვნული ინტერესების დოქტრინის ზოგიერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრის ცდა.

ამ დოქტრინის ჩამოყალიბებაზე იმუშავებენ პარლამენტი, მთავრობა და მეცნიერები. ამიტომ, რასაკვირველია, იგი ჯერ არც შეიძლება იყოს სრულყოფილი. ამის მიუხედავად, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ განიარაღებისა და უსაფრთხოების საკითხებს ყოველთვის მიენიჭება არსებითი მნიშვნელობა.

საკითხავია, რატომ ანიჭებს განიარაღებას ასეთ დიდ მნიშვნელობას საქართველო, რომელსაც, თავის მხრივ, დიდი სამხედრო პოტენციალი არ გააჩნია?

ამ შეკითხვაზე შეუძლებელია მარტივი და ცალსახა პასუხი. თავი რომ არ მოგაბეზროთ, არ შევუდგები ყოვლისმომცველ ანალიზს და ვეცდები თქვენი ყურადღება მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საკითხზე შევაჩერო.

პირველი, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ იმ ყველაზე არასტაბილურ რეგიონში მდებარეობს, სადაც საუკუნეების მანძილზე აღინიშნებოდა რეგიონის პრედომინანტულ სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული ინტერესების ჭიდილი და გავლენის სფეროების გადანაწილება.

მეორე, კავკასია არანაკლებ რთული რეგიონების — ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთთან — ახლოს მდებარეობს.

მესამე, ევროპა-აზიის სავაჭრო გზა საქართველოზე და, საერთოდ, კავკასიაზე გადის. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ამ რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა, რათა ეს გზა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურებოდეს და გამოირიცხოს იარაღისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადატანა. ყველა ეს საკითხი სერიოზული დაფიქრების საგანს წარმოადგენს.

ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესია ავაშენოთ სახელმწიფო, რომელიც აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას გაატარებს, ექნება მეგობრული და განავითარებს ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან როგორც რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

როგორც ევროთათბირის წევრი, საქართველო ეცდება დაამყაროს კონსტრუქციული კავშირები სხვა რეგიონული და პოლიტიკური ორგანიზაციების ქვეყნებთან.

რაც შეეხება ეკონომიკას, საქართველომ საბაზრო ეკონომიკისაკენ აიღო გეზი, რაც არც თუ ისე ადვილად განსახორციელებელი ამოცანაა.

ჩვენ შეძლებისდაგვარად ხელს შევუწყობთ „ღია კარის“ პოლიტიკას. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ და ფინანსურ ორგანიზაციებში ჩართვის პარალელური პროცესია. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, ჩვენ ვართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის სისტემის წევრი და ა. შ.

სამხედრო თვალსაზრისით საქართველო შეინარჩუნებს შეიარაღებული ძალების იმ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც საკმარისი იქნება ქვეყნის თავდაცვისათვის. ჩვენ ვემხრობით არაპროვოცირებადი თავდაცვის ძირითად პრინციპებს. არა გვაქვს არანაირი ტერიტორიული პრეტენზია რომელიმე ქვეყნის მიმართ და ველით მათგანაც ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ასეთსავე პატივისცემას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში იმყოფება უცხო ქვეყნის ჯარი. ჩვენ გამოვდივართ წინადადებით, უმოკლეს ვადაში დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკება მათი დროებითი სტატუსისა და გაყვანის ვადების დადგენის თაობაზე. მათი სტატუსის განსაზღვრა უნდა დაეფუძნოს როგორც მსოფლიოში არსებულ პრაქტიკასა და პრეცედენტებს, ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ჩვენ მზად ვართ, გავითვალისწინოთ, როგორც იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებსაც აქვს სამხედრო ბაზები და ჰყავთ შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე იმათიც, ვის ტერიტორიაზეც ეს ბაზები და სამხედრო შენაერთებია განლაგებული.

საქართველოში უცხო ჯარების განლაგების საკითხი მოიცავს გარკვეულად ახალ არატრადიციულ ასპექტს. როგორც ცნობილია, 1993 წლის 1 იანვრიდან გაეროს წევრი სახელმწიფოები დაიწყებენ გაეროს რეგისტრისთვის მათ ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღების შესახებ მოხსენებითი ბარათების წარდგენას. საქართველო აპირებს ასეთივე მოხსენებითი ბარათის წარდგენას. სამწუხაროდ, საქართველოში განლაგებული საჯარისო ფორმირებები, საველე მეთაურების [illegible], საქართველოსა თუ რუსეთის მთავრობებისაგან მალულად და მათი ნებართვის გარეშე აწარმოებენ საკმაოდ სარფიან იარაღით ვაჭრობას. აქედან გამომდინარე, საქართველო ვერ იქნება პასუხისმგებელი მისი ტერიტორიიდან იარაღის გავრცელებაზე.

საქართველო აქტიურად მხარს დაუჭერს შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა იარაღის, მათ შორის ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის — ჩვეულებრივი იარაღის მსოფლიოში გავრცელების რეჟიმს.

ჩვენი ეროვნული ინტერესების დოქტრინის ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების სია არ იქნებოდა სრულყოფილი, თუ არ განისაზღვრებოდა საქართველოს ადგილი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის რეგიონულ თუ მსოფლიო უსაფრთხოების სტრუქტურაში.

რა არის უსაფრთხოების დღევანდელი ცნების ძირითადი კომპონენტები და როგორ ჯდებიან ისინი საქართველოში?

ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვით მოგახსენოთ ამის თაობაზე.

90-იანი წლების დასაწყისი დაემთხვა ყველა გაგებით უპრეცედენტო მოვლენებს. ძველი კონცეფციები და დოქტრინები ემსხვერპლა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამართლებრივი, სოციალური გარემოს ცვლილებებს.

ცვლილებები მიმდინარეობს ზებგერითი სიჩქარით და ხშირად უძლურნი ვართ, განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობა გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა ერთი რამ უკვე ნათელია: მსოფლიო საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ უსაფრთხოება, როგორც კონცეფცია, უნდა განიხილებოდეს ახალი სამხედრო სტრატეგიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით.

ამ კონტექსტს ზოგადად შეიძლება ახალი მსოფლიო წყობაც ვუწოდოთ, რაშიც, როგორც წესი, ახალი ტიპის თანამშრომლობა და გლობალური პარტნიორული ურთიერთობა იგულისხმება.

ახალი მსოფლიო წყობის ჩამოყალიბება ერთა თანამეგობრობისგან მოითხოვს უპრეცედენტო კონსენსუსის პირობებში მართლაც რომ ერთობლივი ქმედებისათვის მზადყოფნას. ეს შესაძლებელი იქნება, თუკი დიდი თუ მცირე ქვეყნები თავიანთ მოქმედებებში დაეყრდნობიან მსოფლიოში მიღებულ მორალის კრიტერიუმებს — სამართლიანობას, მშვიდობას, განიარაღებას, დემოკრატიას, განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობას.

ახალი მსოფლიო წყობა უნდა დაეფუძნოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას, რაც თანამედროვე მსოფლიოში მრავალსახოვანი ცნებაა. იგი უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა მიმართებით და სხვადასხვა დონეზე. მაგალითად, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ერის უსაფრთხოება არ წარმოადგენს მისი სამხედრო სიძლიერის სინონიმს და შეუძლებელია ამ მიზნის მიღწევა სხვა ერების უსაფრთხოების ინტერესების ხარჯზე. ის სხვადასხვა ფაქტორის უფრო კომპლექსური კომბინაციაა, მათ შორის სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკის, მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი გასვლის, ეკოლოგიურად სუფთა გარემოსა და ინფორმაციის თავისუფლების.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხები კვლავ რჩება საერთაშორისო, ანუ კოლექტიური უსაფრთხოების საფუძვლად. მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ ვითარდება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაც და ქვეყნების ერთმანეთზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, იგი მოიცავს ტრანსეროვნულ პასუხისმგებლობის საკითხებს.

შესაბამისად, კოლექტიური უსაფრთხოების არსიც განიცდის გარკვეულ ტრანსფორმაციას, მაგალითისათვის, შეიარაღების გადაჭარბებული ზრდა, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები, ეკონომიკური სიდუხჭირე ზოგიერთ ქვეყნებში აღარ წარმოადგენს მარტო ამ ქვეყნების საშინაო საქმეს.

ეს მოვლენები რეგულირდება გაეროს ქარტიის, საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების მიერ აღიარებული ვალდებულებების საფუძველზე და მათი განხილვა სხვა ქვეყნების მიერ აღებული იგივე ვალდებულებების გათვალისწინებით ხდება.

უსაფრთხოების კონცეფცია უფრო მეტად სწორედ ამიტომ ასოცირდება არასამხედრო, პოლიტიკური მეთოდებით შეკავებასთან და ომის თავიდან აცილებასთან.

დღეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, მორალური, ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური ფაქტორები უფრო აქტიურ როლს თამაშობენ უსაფრთხოების სისტემაში, ვიდრე მისი სამხედრო ელემენტები.

> მსოფლიო საზოგადოებრიობა სულ უფრო აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ უსაფრთხოება, როგორც კონცეფცია, უნდა განიხილებოდეს ახალი სტრატეგიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით.

თუკი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხს განიარაღება დღეისათვის აღარ წარმოადგენს, მაშინ რატომ ვანიჭებთ მას ასეთ დიდ მნიშვნელობას? ეს უპირველეს ყოვლისა იმიტომ ხდება, რომ განიარაღება სისტემის ჩამომყალიბებელი ფაქტორის ფუნქციას ინარჩუნებს.

მეორე, საკუთრივ განიარაღებაზე უფრო მეტად ჩვენ გვაღელვებს ეგრეთ წოდებული არაპირდაპირი და თანმდევი ზომები, რომლებიც ცნობილია, როგორც განიარაღების შემდგომი ღონისძიებები, სახელდობრ: იარაღის განადგურების ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდები, იარაღის ხმარებისას და შენახვისას სამხედრო უსაფრთხოების კონცეფციებისა და დოქტრინების გადაფასება; ბირთვული იარაღის არსებობის პირობებში იარაღის გაუვრცელებლობის ახალი რეჟიმების ჩამოყალიბება და გაძლიერება, კონვერსიის პროგრამები და სხვა.

ეს საკითხები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ განიარაღების დღევანდელი მნიშვნელოვანი როლის შენარჩუნებისათვის აუცილებელია გავცდეთ იარაღის შემცირებისა და განადგურების ტრადიციული ამოცანების ჩარჩოებს. უფრო მეტიც, საჭიროა გადავხედოთ ძველ კონფლიქტებს და ძირეულად ახალი ხასიათის რეჟიმებისა და მექანიზმების შემოღებით თავიდან ავიცილოთ რეგიონული და გლობალური კონფლიქტები.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების სწრაფმა განვითარებამ მკაცრად შეზღუდა მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მექანიზმი, რომელმაც ვერ მოახერხა ამ მოვლენების შესაბამისად შეცვლილიყო.

იმისათვის, რომ ავყვეთ მოვლენათა სვლას, არსებული მექანიზმი მეტნაკლებად უნდა შეიცვალოს.

ზოგიერთ შემთხვევაში ის მექანიზმი უცვლელი უნდა დარჩეს, მაგრამ უფრო ხშირად მოგვიწევს უსაფრთხოების ძირეულად ახალი მექანიზმის შექმნა და მისი ახალი მნიშვნელობით დატვირთვა.

მაგალითად, რაც შეეხება განიარაღებას, დღეისათვის არსებობს კონფერენცია განიარაღების საკითხებზე, გაეროს განიარაღების კომისია, გაეროს სამდივნო, რომელიც განიხილავს ქიმიურ შეიარაღებას, საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტო და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების შესაბამისი სტრუქტურები; უახლოეს მომავალში კი შესაძლებელია შეიქმნას ბიოლოგიური იარაღის კონვენციის ერთგვარი შემმოწმებელი სტრუქტურა. როცა მსოფლიო საზოგადოებრიობა შეეხება განიარაღების სხვა საკითხებს, ვერ გამოვრიცხავთ ბირთვული იარაღის მქონე ხუთივე სახელმწიფოს მონაწილეობით მსოფლიოს ბირთვული განიარაღების მეთვალყურე ახალი ორგანოს წარმოქმნას. შესაძლებელია აგრეთვე იარაღის გავრცელების შეზღუდვის და ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში განიარაღების ახალი მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაციის ჩამოყალიბება და ა. შ.

ამჟამად განიარაღების ორგანიზაციების გავრცელების მოწმენი ვხდებით. ეს ორგანიზაციები ძვირადღირებულია და რესურსების დიდ მარაგს მოითხოვს. ალბათ, დროა რომ ვიფიქროთ შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების მსოფლიო მასშტაბის სააგენტოს*, როგორც გაეროს ერთ-ერთი სპეციალიზებული ორგანიზაციის შექმნაზე. შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების მსოფლიო მასშტაბის სააგენტო უნდა მოიცავდეს განიარაღების ყველა სფეროს მასობრივი განადგურების იარაღიდან დაწყებული, მეთვალყურეობით, ნდობის განმტკიცების ზომებით, კონვერსიით, და რა თქმა უნდა, მრავალმხრივი მოლაპარაკებების ქსელით დამთავრებული.

ჩვენი აზრით, მსგავსი ორგანიზაცია შეძლებს ერთ ჩარჩოში მოაქციოს კაცობრიობის ყველა მცდელობა გათავისუფლდეს იარაღისაგან და დააყენოს განიარაღება 90-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის დღის წესრიგში. შეიარაღებაზე კონტროლის, განიარაღებისა და კონფლიქტების მოგვარების ასეთი მექანიზმის დანერგვამ შეიძლება ბიძგი მისცეს მსოფლიო მასშტაბით ახალი ენერგიული ქმედებების დაწყებას.

ამ კონტექსტში, ჩვენ სავსებით ვემხრობით კონფლიქტების თავიდან აცილების, კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის შენარჩუნების რეგიონული ცენტრების იდეას, მაგრამ გვსურს უფრო შორს გავიხედოთ და რეგიონული უსაფრთხოების ისეთი ახალი სტრუქტურები შევქმნათ, რომლებიც გლობალურ უსაფრთხოებას დაედება საფუძვლად.

მართლაცდა, რატომ უნდა შევზღუდოთ აპრიორი ასეთი ახლად წარმოქმნილი სტრუქტურები მხოლოდ სპეციფიური, კონკრეტული ამოცანებით?

ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა ვეცადოთ, მივმართოთ ისინი უფრო მასშტაბური ამოცანებისაკენ. მაგალითად, კავკასიის რეგიონში შეიძლება შეიქმნას უსაფრთხოების ისეთი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს კონსულტაციების, კონფლიქტის მოგვარებისა და მონიტორინგის მექანიზმებს. ეს სტრუქტურები ხელს შეუწყობენ ტრანსპარანტულობას და საჯაროობას როგორც რეგიონული ნდობის სისტემის ჩამოყალიბების პირველ ნაბიჯს. ეს კავკასიური სტრუქტურა ევროთათბირის პროცესის შემადგენელი ნაწილი იქნება. ამასთანავე შეიძლება იყოს უკვე არსებული იარაღის გაუვრცელებლობის რეგიონული რეჟიმების განმტკიცების და ახლის შექმნის სხვა მცდელობებიც.

ბატონო თავმჯდომარევ!

როგორც ცნობილია, საფრთხის აღქმა მკვეთრად შეიცვალა, ომის საშიშროება თითქმის მის გამორიცხვამდე შემცირდა. ამის მიუხედავად, შეუძლებელია ვისაუბროთ ხანგრძლივ მშვიდობაზე, რამეთუ ეთნიკური კონფლიქტები და სასაზღვრო უთანხმოებანი იწვევს ათასობით მსხვერპლს და მშვიდობიან მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს.

ნუთუ არ უნდა მოიძებნოს განიარაღების ისეთი სტრუქტურა, რომელიც წერტილს დაუსვამს ასეთ კონფლიქტებს? რა თქმა უნდა, უნდა ვეცადოთ ზოგიერთი ასპექტის სახე მოვიფიქროთ, ზოგი უკვე არსებობს. მაგალითად: შემცირება და ზოგიერთ შემთხვევაში იარაღის გავრცელების საერთოდ აკრძალვა, შეიძლება გახდეს რეგიონული კონფლიქტების მოგვარების სამართლიანი და მიუკერძოებელი საშუალება.

ჩვენ გვჯერა, რომ იარაღის შეუზღუდავი შესყიდვა, რა მიზნითაც და რა წყაროდანაც არ უნდა ხდებოდეს, როგორც წესი, საშიშროებას უქმნიდა და შეუქმნის რეგიონულ თუ გლობალურ უსაფრთხოებას.

სამწუხაროდ, ეს მოვლენა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის ჩემს რეგიონშიც ხშირია.

ამ თვალსაზრისიდან გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეგისტრი არის როგორც ნდობის ფაქტორი, ასევე ტრანსპარანტულობის და საჯაროობის ინსტრუმენტი. იქნებ დროა სერიოზულად დავფიქრდეთ დამოუკიდებელი, რეგიონული რეგისტრების შექმნაზე, რომლებშიც წარმოდგენილი იქნებიან ამ რეგიონის ქვეყნები, თუმცაღა არ გამოვრიცხავთ სხვა ასპექტების არსებობასაც.

მსოფლიო საზოგადოებრიობამ იმავდროულად უნდა დაიწყოს „არასამხედრო, პოლიტიკური გზით შეჩერების კონცეფციაზე“ მუშაობა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს უსაფრთხოების თავდაცვითი კონცეფციის სრულყოფის ხარჯზე. უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს არასამხედრო გზით, პოზიტიური, ასევე ნეგატიური, შემჩერებლების განსაზღვრა. მაშინ, როცა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მორალური ზემოქმედება, ეკონომიკური და სავაჭრო ემბარგო წარმოადგენს ნეგატიური შემჩერებლის მაგალითს; განვითარებისათვის აუცილებელი სამეცნიერო, ტექნოლოგიური, სავაჭრო და ფინანსური მიღწევების გადანაწილებაში სრული მონაწილეობის სტიმული შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოზიტიური შემჩერებელი, რომელიც მარტო ამით არ შემოიფარგლება.

და კიდევ ერთი მოსაზრება, რითაც ჩემს გამოსვლას დავასრულებდი. ფაქტია, რომ შეიარაღებული ძალები ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის გარანტიების მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება. აქედან გამომდინარე, ამ ძალების გადაადგილება თავდაცვითი მიზნით, საკუთარი სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში, დასაშვებია და არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც აგრესია ან ოკუპაცია. საერთაშორისო სამართალი, როგორც ასეთი, და საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები თუ ხელშეკრულებები არ ცნობენ „თვითაგრესიისა“ და „თვითოკუპაციის“ ცნებას.

რატომ წამოვწიეთ ჩვენ ეს საკითხი?

ახლახან საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, აფხაზეთში, აფხაზურმა კრიმინალურმა ელემენტებმა და დაქირავებულმა მკვლელებმა გამოიწვიეს სეპარატისტული შეფერილობის კონფლიქტი. ამას, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური წანამძღვარი ჰქონდა. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო შეიარაღებული ძალების ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილება ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ქვეყნისათვის. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომა მომხდარი ფაქტისადმი მკაცრი, არაორაზროვანი უნდა იყოს და გამომდინარეობდეს ყველა სახელმწიფოს უფლებიდან — დაიცვას თავი დემოკრატიულად არჩეული მთავრობების დასამხობად მიმართული არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებების დივერსიული აქტებისაგან.

ბოლო ორი წელიწადის მანძილზე ბევრი რამ არის მიღწეული განიარაღების სფეროში, მაგრამ ბევრი პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება. განიარაღების დღის წესრიგი გადატვირთულია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმეს სურს თავზე მოგვახვიოს შეძლებისდაგვარად მეტი უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი საკითხი, არამედ იმიტომ, რომ პირველად ისტორიაში დღის წესრიგს გვიკარნახებს თვით მოვლენები, და პრიორიტეტები კაცობრიობის ევოლუციის შინაგანი ლოგიკის მიხედვით იქნება.

გმადლობთ.

---

* გაეროს — კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე არჩეულია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ნაბილ ელარაბი.

* ანალოგიური სტრუქტურა ეროვნული მასშტაბით არსებობს მხოლოდ აშშ-ში.

კავკასია — წარსული, აწმყო, მომავალი

უკუღმა ნატრიალები ბორბალი წაღმა დავაბრუნოთ

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე კავსაძის თაოსნობითა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ისტორიული კავშირების აღორძინების ღონისძიებათა შემმუშავებელი საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც მოწვეულნი არიან საქართველოს ცნობილი კავკასიოლოგები და კულტურის მოღვაწენი. ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტში ჩამოყალიბდა კავკასიის ხალხთა ურთიერთობის კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის კვლევის ხელმძღვანელი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი გივი ღამბაშიძე. ჩვენ ინტერვიუ ვთხოვეთ მას.

— ბატონო გივი, თქვენ წლების განმავლობაში იკვლევთ ქართული კულტურის ძეგლებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. საზოგადოებას კარგად ახსოვს XVIII საუკუნის ცნობილ ქართველ ისტორიულ მოღვაწეთა პანთეონის აღდგენასთან დაკავშირებით მოსკოვის დონის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. ასევე ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა, რითაც ნათლად შუქდება საქართველო-იმიერკავკასიის ხალხთა მჭიდრო ისტორიულ-კულტურული ურთიერთობანი. ეს ყოველივე მეტად აქტუალურია დღეს, როდესაც კავკასიაში ასე დაიძაბა ვითარება, ილვრება სისხლი, კავკასია უფსკრულისაკენ მიექანება. როგორც იტყვიან, არქეოლოგია ყველაზე თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებაა. რას გვეტყოდით საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიულ თუ თანამედროვე ურთიერთობაზე?

— საქართველოსა და იმიერკავკასიის ხალხთა ისტორიულ ურთიერთობათა შესწავლა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა. ცნობილია ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა, ხელოვნებათმცოდნეთა და ანთროპოლოგთა კვლევის შედეგები. ამ მიმართულებით დიდ ინტერესს იმსახურებს ქართული არქეოლოგიის ფუნდამენტური მეცნიერული ძიება (ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა შუქზე), რომლითაც მტკიცდება ზედა პალეოლითში კავკასიის ეთნო-კულტურული თუ ისტორიული ერთობა. ისტორიული განვითარების ძალით, მეზოლითსა და ნეოლითში წარმოშობილი დიფერენციაციით ეს ერთობა ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში იშლება და ძვ. წ. III ათასწლეულისათვის ყალიბდება კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები (ოთ. ჯაფარიძე).

უახლოეს არქეოლოგიურ გამოკვლევათა ფონზე სულ უფრო მზარდ ყურადღებას იპყრობს XI ს. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მონაცემები საქართველოსა და კავკასიის უძველესი ისტორიის შესახებ და, განსაკუთრებით, მისი ეთნო-გენეტიკური კონცეფცია, რომლითაც კავკასიის ხალხები საერთო წინაპრის — ბიბლიური თარგამოსის შთამომავლებად ცხადდებიან.

კავკასიის ხალხთა უახლოესი ნათესაობის ლეონტისეული ეს კონცეფცია, რომელიც „ჰუმანისტურ თეორიადაა" შეფასებული, უძველეს ტრადიციებსაც გამოხატავდა და თავისი ეპოქის სულისკვეთებასაც. იგი იმითაცაა საინტერესო, რომ ადრეფეოდალური ხანის მიწურულს საერთო-კავკასიური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდში შემუშავდა.

ანტიკური პერიოდიდან, საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობიდან, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობანი (რომლებიც ისტორიულად არასოდეს შეწყვეტილა, რაც დადასტურებულია წინარე ეპოქების არქეოლოგიურ კულტურებში), კიდევ უფრო ძლიერდება. ეს ურთიერთობანი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ხასიათისაა.

შუა საუკუნეებიდან კა რელიგიურ-იდეოლოგიურ და კულტურულ საფუძვლად ქრისტიანული რელიგია და ფეოდალური კულტურა გვევლინება, რაც უფრო აახლოვებდა საქართველოსა და იმიერკავკასიის ხალხებს ერთმანეთთან და აძლევდა საშუალებას გადაეწყვიტათ ისტორიული განვითარების შედეგად მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემები.

ქართული არქეოლოგიური კავკასიოლოგიის მიერ 1970-1980 წლებში შემუშავებულ ახალ მტკიცებათა კომპენდიუმით, სწორედ X ს. II ნახევრიდან (და არა დავით IV-თამარის ეპოქაში) იწყება იმიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის გავრცელება-დამკვიდრება. საქართველოს სრულ გაერთიანებამდე ჩრდილო-დასავლეთ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი ბიზანტიასთან ერთად დასავლეთქართული სამეფო — აფხაზეთია, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში (დვალეთი, ინგუშეთი, ჩაჩნეთი, დაღისტანი) — ქართლი და კახეთის სამთავრო-სამეფო, ხოლო გაერთიანების შემდეგ — საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებაა. ცალკე აღინიშნება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უდიდესი როლი. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ქართულ ეკლესიას ადრეფეოდალური ხანის მიწურულს საქართველოს გაერთიანებაში. გიორგი მერჩულესეული „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების", უკვე X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში შეიძლება გავრცელდეს იმიერკავკასიაზეც. ჩვენს ხელთ არსებული მატერიალური კულტურისა და წერილობითი წყაროების მონაცემები მტკიცე საფუძველს ქმნის შუაფეოდალურ ხანაში იმიერკავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის არსებობა ოფიციალურ ფეოდალურ-კლერიკალურ ხარისხში მივიჩნიოთ, რომელიც, როგორც ჩანს, ახლო იყო ორთოდოქსულ-დოგმატურ ნორმებთან და რომელიც შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, თუ მას ამკვიდრებს და მხარს უჭერს ოფიციალური საეკლესიო ორგანიზაცია და სახელმწიფო ძალაუფლება. ამრიგად, უარყოფილია (უმთავრესად საბჭოთა კავკასიოლოგიის) ის მტკიცება, თითქოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისთვის ქრისტიანული რელიგია უცხო, ზედაპირული მოვლენა ყოფილიყოს, ღრმად არ შეხებოდეს იმიერკავკასიელთა მსოფლმხედველობას. ამით არქაიზირდებოდა იმ ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება, ადგილობრივ კულტურათა როლიც და ფეოდალური საქართველოსა და იმიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის ხარისხიც.

ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და ფეოდალური კულტურის, გავრცელება-დამკვიდრება და ამით საერთო კონფესიონალურ-კულტურული ერთობის შექმნა მჭიდრო კავშირშია კავკასიის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან (ფეოდალურ-ფორმაციული ხასიათის ძვრები, ჩრდილოელ მთაბარეთა და ძლიერი სამხრეთელი სახელმწიფოებისაგან თავდაცვა, მთისა და ბარის მეურნეობათა ეკონომიკური კავშირები და სხვა). მან შუაფეოდალურ ხანაში წარმოშვა წინა აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი საერო-კავკასიური სახელმწიფოებრივი გაერთიანება (გ. ლომთათიძე, დ. მუსხელიშვილი). კავკასიის ინტეგრაციის ეს ევოლუციური პროცესი, რომელიც პოზიტიური ისტორიული მოვლენა იყო, შეწყდა თათარ-მონღოლთა და, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ. წარმოიშვა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული რეგრესი. განვითარდა ცენტრიდანული ძალები, რომელთაც დაშალეს არა მარტო მთლიანად კავკასიის, არამედ მისი ცალკეული მხარეების ერთობაც. ბუნებრივია, იშლება კონფესიონალურ-კულტურული ერთიანობაც და ირღვევა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის საფუძვლებიც. ჩრდილოეთ კავკასიაში თანდათან, ხშირად იარაღის ძალით, ვრცელდება და მკვიდრდება ისლამი, რომელმაც ახალი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ტენდენციები წარმოშვა...

საერთო-კავკასიური საფუძვლების მოშლას გვიანფეოდალურ ხანაში ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან საქართველოსათვის უმძიმესი შედეგები მოჰყვა. XIX-XX სს. კავკასიაში რუსეთის პოსტ-ფეოდალურმა და შემდეგ სოციალისტურმა იმპერიალისტურმა კურსმა კიდევ უფრო დააცილა ერთმანეთს კავკასიის ხალხები პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად (კულტურის ეკოლოგიის თვალსაზრისითაც) და განამტკიცა იმპერიული კურსი ამიერ და იმიერკავკასიაში.

XX ს. მიწურულს კავკასიაში თავს იყრის მრავალი ქვეყნის (რუსეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების) ინტერესები, თავისი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, იგი მახლობელ აღმოსავლეთში მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და რელიგიურ-კონფესიონალურ ინტერესთა გზაჯვარედინზეა. ამავე დროს, შიდა ეთნიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ხშირად ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი, აგრეთვე მახლობელ აღმოსავლეთში მსოფლიო პოლიტიკური ინტერესები და წინააღმდეგობანი ძალზე საშიშ ფეთქებად რეგიონად აქცევს მას. რა ელის მთლიანად კავკასიას?

XX ს. მიწურულს მის წინაშე ორი გზა ისახება: პირველს მივყავართ ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ იზოლაციონიზმამდე და კატასტროფამდე. მეორე გზა აღმშენებლობითია.

კავკასია ბუნებრივად ჩამოყალიბებული ერთიანი ორგანიზმია და მისი მშვიდობიანი და წარმატებული განვითარებისათვის, აუცილებელია მის მხარეთა შორის მაქსიმალურად ჰარმონიული ურთიერთობების განვითარება (ეკონომიკური, ეკოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული, კულტურის ეკოლოგიისა და რელიგიური შემწყნარებლობის, „სახალხო დიპლომატიისა" და სხვა ასპექტები).

თავისთავად ცხადია, პრობლემის მთლიანობა არ გამორიცხავს და აუცილებლადაც განსაზღვრავს, მისადმი დიფერენცირებულ მიდგომას...

რა გზას აირჩევენ ბიბლიური თარგამოსის ძეთა, „გმირთა ძლიერთა და სახელოვანთა" შორეული შთამომავლები?

კავკასიის უძველესი ცივილიზაციისა და უნიკალური ბუნების ხსნა შესაძლებელია კავკასიის ხალხთა ერთობლივი ძალისხმევითა და თანადგომით, ვინაიდან ცალ-ცალკე გადარჩენა ალბათ გაჭირდება.

ჩვენ უნდა ვიღვაწოთ კავკასიის პროგრესული და ჰუმანური ძალების გასაერთიანებლად. უნდა ვეცადოთ მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით გადავწყვიტოთ ჩვენს წინაშე ობიექტურად არსებული, თუ ხშირად ხელოვნურად წამოჭრილი პრობლემები.

ჩვენშია ხალხთა, კულტურათა, რელიგიათა თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება, წინაპართა ბრძნული დიპლომატიის, ძმადნაფიცობის, ომისა და მშვიდობის, მეგობრისა თუ მტრის ღირსებათა დაფასება-აღიარებისა და, მშვიდობიანობის დამამყარებელი კავკასიელი ქალის მანდილის მიმართ რაინდული დამოკიდებულების კოდექსი. ესაა ძირ-ძველი საერთოკავკასიური სულიერი მწვერვალები. უნდა ვისწრაფვოდეთ მათკენ. ჭეშმარიტად, გულმხურვალედ უნდა ვილოცოთ, რომ იყოს ნათელი და გვწამს, რომ ღმერთი შეგვეწევა და იქნება ნათელი.

განსაკუთრებულად რას გამოჰყოფდით თქვენს მიერ იმიერკავკასიის ქვეყნებში წარმოებული კვლევა-ძიებიდან?

— რომელი ერთი ჩამოვთვალო: ესაა მიწისქვეშა თუ მიწისზედა ძეგლები, ნაეკლესიარები, ქრისტიანული სამარხ-სამაროვნები, ქრისტიანული კედლის მხატვრობის, მცირე და მონუმენტური პლასტიკის, ქართული ეპიგრაფიკული თუ ხელნაწერი ძეგლები. და მაინც, გამორჩეულად აღვნიშნავდი არსენ II — ქართლის კათალიკოსის (955-980) წარწერის აღმოჩენას ტყობაა-ერდის ტაძრის გათხრისას ინგუშეთში, მართლაც ბიბლიური თარგმნის (შდრ. ლეონტისეულ თარგამოსს!) ხეობაში. X საუკუნის, გიორგი მთაწმინდელამდელი ქართული ფსალმუნის ფურცლების მიკვლევას ნაზრანში, 80 წლის აბდულვაჰაბ ელჯარკიევთან, რომელსაც ისინი XX ს. დასაწყისში მაღი-ერდის საგვარეულო სამლოცველოში აღმოუჩენია და, მაჰმადიან კაცს, უბით უტარებია, მისი ხალხის 12-წლიანი გადასახლებისას საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში...

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ჩვენი ექსპედიციის, ავარეთის ადგილობრივი მოსახლეობის, მთელი დაღესტნის სამეცნიერო თუ სამთავრობო წრეების უდიდესი დაინტერესება ხუნძახთან ახაროს მთაზე, ზღვის დონიდან 2 500 მეტრ სიმაღლეზე, თორმეტი მოციქულის სახელობის ნატაძრალისა და იქვე ნაირგვარად გამოქანდაკებულ ქვის ჯვრებზე, ასომთავრულითა და ნუსხახუცურით შესრულებული ქართული წარწერების აღმოჩენა, რომლითაც ადგილობრივი მცხოვრებნი ქრისტესა და ათორმეტ მოციქულს შენდობა-შეწყალებას შესთხოვენ. (იქვე ჩვენ ვვარაუდობთ სარირის (ქართული წყაროებით ხუნძეთის) მეფის რეზიდენციას, რომლის გათხრებიც უკვე დაწყებულია).

— ეს ყოველივე მართლაც გასაოცარია! საქართველომ და მთელმა კავკასიამ ეს ყველაფერი უნდა იცოდეს. ბ-ნო გივი! თქვენ ზემოთ, ფაქტიურად, კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კონცეფციის საფუძვლებს შეეხეთ. უფრო დაწვრილებით ხომ არ გვიამბობდით?

— როგორც აღვნიშნე, იგი კავკასიური სინამდვილიდან, მისი წიაღიდან მომდინარეობს. ჩვენ რეალისტურად უნდა ვუდგებოდეთ ჩვენს აწმყოსა და მომავალს და ქმედებაც შესაბამისად უნდა დავგეგმოთ. დიდი პოლიტიკა დიდი მეცნიერება და შემოქმედებაა. საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ორიენტაციის, საგარეო და მათ შორის საქართველო-იმიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობის მიმართულებათა განსაზღვრისას, ვფიქრობთ, დღესაც ყავლი არ გასვლია და გასათვალისწინებულია გრ. ლორთქიფანიძის ცნობილ „პოლიტიკურ ანდერძში" („საქართველოს განვითარების გზები", 1925) ჩამოყალიბებული მოსაზრებანი. თავს უფლებას მივცემ, რამდენიმე მათგანი აღვნიშნო: „...ქართველ ხალხს აქვს და უნდა ჰქონდეს სრულიად მტკიცე და უკუნითი უკუნისამდე ერთი პოლიტიკური ორიენტაცია, სახელდობრ, თავის თავზე, საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სრულყოფა, მიუხედავად იმისა, თუ რა დროებით თუ ხანგრძლივ კომბინაციებში და კავშირებშიც არ უნდა დარჩეს ის ნებსით თუ უნებლიეთ. ამ თავისი ძირითადი მიზნისათვის მან, შეძლებისდაგვარად, იმისდამიხედვით, თუ როგორია საერთაშორისო ძალთა რეალური განწყობილება, ყოველგვარი ძალა და მოკავშირე უნდა გამოიყენოს სხვა და სხვა დროსა და პირობებში... სამუდამო და საშვილიშვილო ძმა — მოკავშირე კი უნდა ვპოვოთ ჩვენს უახლოეს მონათესავე და მოძმე ტომებში, კავკასიის მთაში, დარუბანდიდან ქერჩის სრუტემდე და იქიდან — შანეთამდე. რასაკვირველია, მეტად ძნელია და ხანგრძლივი პროცესი იქნება ამ ჩვენი ოჯახის შვილთა მრავალსაუკუნოვან უკუღმა ნატრიალები ისტორიის მიერ დალექილი ტალის აფხეკა და ძველი თვითშეგნებისა და ერთობის აღდგენა-გაძლიერება, მაგრამ აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი პოლიტიკის ერთი გეზი... ქართველი ხალხის უწმინდესი და უდიდესი ისტორიული მოვალეობაა, შეძლებისდაგვარად, არ დაზოგოს ხარჯი და ენერგია, რათა თავისი დედობრივი კალთის მფარველობის ქვეშ დააყენოს ყველა ეს ბედის უკუღმა ტრიალით საერთო რასიულ კერას მოგლეჯილი, დატანჯული და დასახიჩრებული ჩვენი მოძმენი. და უნდა აკეთოს ეს იაფეტური კულტურული ერის მთლიანობის აღდგენის დიადი საქმე საქართველომ იმისდამიუხედავად, თუ როგორ პოლიტიკურ პირობებში იქნება ის დროებით, ან თუ რა სახელმწიფოებრივ ყოფაში დარჩებიან თვით ეს ხსენებული ჩვენი მოძმენი... მოკლედ, პოლიტიკური ორიენტაცია თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, პირობებისა და დროის შესაფერად... ყველა და ყოველგვარი ძალისა და მოკავშირის გამოყენება, მუდმივი და ურღვევი მეგობრობა კავკასიელებთან... მტკიცე მეგობრობა საერთაშორისო... დემოკრატიასთან, მუდმივი და ურყევი კულტურული ორიენტაცია ევროპა-ამერიკაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი რამ — როგორც არ უნდა იქნეს ამა თუ იმ ხანაში ქართველი ერის სადღეისო პოლიტიკური ორიენტაცია, ამ ნიადაგზე სხვადასხვაობამ არასდროს არ უნდა მიგვიყვანოს ისეთ ველურ და ანტიეროვნულ ბრძოლით ფორმებამდე, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ისტორიაში, როდესაც ერის ნაწილები ერთი მეორეს იარაღით ებრძოდნენ ამ ნიადაგზე".

როგორ ფიქრობთ, მოძველდა ეს აზრები?

— როგორც სამთავრობო დადგენილებიდან ჩანს, მომზადებულია რიგი წინადადებებისა — ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ისტორიული კავშირების შემდგომი განვითარების შესახებ. მათგან რომელს აღნიშნავდით?

— პირველყოვლისა, ბუნებრივია, საქართველოს პარლამენტმა და სახელმწიფოს მეთაურმა ჯერ ნათლად უნდა ჩამოაყალიბონ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელთანაც მიმართებაში იქნება განსაზღვრული ურთიერთობა მთლიანად კავკასიასთან (აქვე დავსძენ — საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიასა და კომიტეტში ახლა მიმდინარეობს მუშაობა საქართველო — ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ურთიერთობათა განსასაზღვრავად), ვფიქრობთ, მიზანშეწონილია პარლამენტის (მთავრობის, ან კავკასიის ხალხების ურთიერთობათა კომისიის) სახელით მიემართოს კავკასიის ხალხებს მშვიდობისა და ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაციით. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამუშავდეს საკითხი „გაეროს" და „იუნესკოს" მოდელების მიხედვით ჩამოყალიბდეს „კავკასიის ერთა ორგანიზაცია" — კავკასიის ეკონომიკური სივრცის კონცეფცია; ყოველმხრივ შეეწყოს ხელი კავკასიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებასა და მეცნიერული კვლევის შედეგების გაშუქებას; კავკასიოლოგიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობას (ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაფუძნდა საერთაშორისო კავკასიათმცოდნეობითი ფონდი, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ, მათ შორის — საერთაშორისო მასშტაბით კავკასიური პრობლემების ობიექტური გაშუქების საქმეში); გაგვაჩნია კავკასიური კულტურულ-სპორტული პროგრამები; საშურად მიგვაჩნია, განახლდეს საერთო კავკასიური ეკოლოგიური მოძრაობა, რაც ასე წარმატებით დაიწყეს საქართველოს „მწვანეებმა" და, სამწუხაროდ, შეწყდა. ასევე შეთავაზებულია საერთაშორისო კონგრესის — „კავკასია — წარსული, აწმყო, მომავალი" — იდეა და პროგრამა, რომლის თემატიკა ასე განისაზღვრა: კავკასიური სამყარო — ცივილიზაცია, კავკასიის ხალხთა ურთიერთობანი, ეკოლოგია, პერსპექტივები.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრების, კავკასიოლოგთა საზოგადოებების, ფონდების, „იუნესკოს", „გაეროსა" და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამეცნიერო-კულტურული კონტაქტებისა და „სახალხო დიპლომატიის" დიდ შესაძლებლობათა სრულად ამოქმედება.

ასეთია აღნიშნული პროგრამის არასრული ნუსხა.

ღრმად გვწამს, საქართველომ გადაუდებლად უნდა დაამუშაოს და შესთავაზოს კავკასიას და, შესაბამისად, მთელ მსოფლიოს კავკასიის ეკოლოგიის ღრმად გააზრებული მეცნიერული პროგრამა, იგი სასიცოცხლოდ აუცილებელია და პერსპექტიული.

თემურ-ლენგის შემდეგ საქართველოს (და კავკასიის) ისტორიის ძირითადად უკუღმა ნატრიალები ბორბალი უნდა წაღმა დავატრიალოთ. ამაშია ჩვენი თაობის ისტორიული მისია წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

ესაუბრა
ხათუნა ჩხაიძე.

ხელმოწერა-93

ვინ უშლის ხელს?

„საქართველოს რესპუბლიკა"
№ 238,
რედაქციას უპასუხებს საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. სალიბეგაშვილი.

გაცნობებთ, რომ განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, საწვავის დეფიციტის გამო, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რესპუბლიკის ხელმომწერებისთვის ჟურნალ-გაზეთების და საფოსტო გზავნილების ჩაბარების საქმეში. ამის გამო, სამინისტრო იძულებულია თბილისიდან რესპუბლიკის რეგიონებში გაზეთების გადასაზიდად, საავტომობილო ტრანსპორტის ნაცვლად, გამოიყენოს სარკინიგზო, რაც, ცხადია, აგვიანებს მათ მიტანას.

გარდა ამისა, მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მოთხოვნისა, ვერ ხერხდება ქ. სოხუმში გაზეთების საავიაციო ტრანსპორტით გადაგზავნა. ამიტომ 10 ნოემბრიდან, ფოთამდე მატარებლით ვგზავნით, აქედან — საზღვაო ტრანსპორტით, რის გამოც ფოსტა დანიშნულების პუნქტამდე მესამე-მეოთხე დღეს აღწევს.

ასევე საწვავის დეფიციტის გამო შეფერხებით იგზავნება ჟურნალ-გაზეთები ქ. ბათუმიდან აჭარის რაიონებში; სენაკიდან — ზუგდიდში, ჩხოროწყუში და წალენჯიხაში; ახალციხიდან — ადიგენში, ქუთაისიდან — მიმდებარე რეგიონებში და სხვა. გარდა ამისა, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ სოფლებში. ზოგან კვირაობით არ ღებულობენ ჟურნალ-გაზეთებს და სხვა საფოსტო გზავნილებს.

საწვავის პრობლემებთან დაკავშირებით, სამინისტრო ხშირად მიმართავს სათანადო ორგანოებს, მაგრამ ამაოდ. სამინისტრომ ნება დართო კავშირგაბმულობის საწარმოებს ნაღდი ფულით შეიძინონ საწვავი. მაგრამ დღეისათვის ძნელია, ზოგ რაიონში კი შეუძლებელია საწვავის შეძენა.

არა მარტო საწვავის დეფიციტი, არამედ დიდი სიძვირეც აფერხებს პრესის გატანას. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საწარმოებში, მათ შორის სოფლად, პრესის ყოველდღიურად შესატანად საჭიროა დახლოებით 8 ტონამდე საწვავი, რაც დღევანდელი ფასებით 1,5 მილიონ მანეთს აღემატება. თუ ამას პრესის გავრცელებაზე და დატარებაზე დასაქმებული მუშაკების ხელფასს და სხვადასხვა საექსპლოატაციო მასალების ხარჯებს დავუმატებთ, ხარჯები 2 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ხარჯები უნდა აანაზღაურონ რედაქციებმა, მაგრამ მათ ამის სახსრები არა აქვთ. წელს კავშირგაბმულობის საწარმოებმა რედაქციებიდან მიიღეს 5 მილიონამდე მანეთი, ხოლო გაწეული ხარჯები 75-80 მილიონია. ზარალის აუნაზღაურებლად სამინისტრომ გამოიყენა ელექტროკავშირის შემოსავალი, რასაც მომავალში ვერ შეძლებს.

რაც შეეხება 1993 წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის საკითხს, უნდა ითქვას, რომ სამინისტრომ დროულად განახორციელა სათანადო ღონისძიებანი. ამ საქმეში, პრესის გავრცელების მუშაკების გარდა, ფართოდ ჩაება საფოსტო დარგის მუშაკები. მაგრამ ხელმოწერის დონე ძალზე დაბალია. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" 20 ნოემბრის მონაცემებით, რესპუბლიკაში გაფორმებული იყო 15.857 შეკვეთა. აქედან 5.022 ქ. თბილისზე მოდის. ხელმოწერის ასეთი დაბალი დონე არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ გაზეთების დაგვიანებული მიწოდების მიზეზით. ძირითადი მიზეზი მაინც ხელისმოწერის სიძვირეა.

სამინისტროს აზრით, ობიექტური მიზეზების გაუთვალისწინებლად გაზეთების ფურცლებზე ჩვენი სისტემატური კრიტიკა საქმეს ვერ უშველის. ერთმანეთისთვის გადაბრალება დიდი შეღავათი არ იქნება ხელმომწერებისთვის.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ!

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით გენერალ-მაიორი ნოდარ გუჯაბიძე დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ — შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსად.

აფხაზეთში გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი კამკამიძის ამ ცოტა ხნის წინანდელი ყოფნის დროს მასთან ერთად სოხუმის შემდეგ ოჩამჩირეში ჩავფრინდით, სადაც ვნახე გენერალი ნოდარ გუჯაბიძე. მისი ჩინებული მოხსენება ადგილებზე საქმის ვითარების შესახებ, ოპერატიული მდგომარეობის კარგი ცოდნა მოწმობდა დიდ სამხედრო გაწვრთნილობასა და პროფესიონალიზმს. ახლა დაწვრილებით არ შევეხებით იმას, თუ რაზე საუბრობდა ორი ქართველი გენერალი საქართველოსთვის ამ ძნელბედობის ჟამს, მით უმეტეს, რომ მრავალი რამ სამხედრო საიდუმლო იყო, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს და სამხედრო ვითარების მთელი სირთულის მიუხედავად, საკმაოდ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. სხვათა შორის, ორივე გენერალი კარგად იცნობს ერთმანეთს და მათ ბიოგრაფიებშიც კი ბევრი მსგავსებაა.

სამწუხაროდ, ჩემი საუბარი გენერალ ნოდარ გუჯაბიძესთან ეხება იმ მრავალ საჭირბოროტო პრობლემას, რომლებიც დაკავშირებულია აფხაზეთში მიმდინარე ომთან, გაგრის ზონაში ჩვენი ძალების უკან დახევასთან, ცალკეულ მარცხიან ოპერაციებთან, ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობასთან და ა. შ.

— მომიტევეთ, რომ გადავუხვიე საუბრის თემას, — შეფიქრიანებულმა წარმოთქვა უკვე ჭარმაგმა გენერალმა გუჯაბიძემ, — დრო არ ითმენს, თითქმის ექსტრემალურ პირობებში მიხდება მრავალი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელება. უდავოა, რომ დაშვებული იყო მრავალი შეცდომა, დაიკარგა ძვირფასი დრო. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ქართველი მეომრები საოცარ სიმამაცეს იჩენენ. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მალე საქართველოს თანამედროვე ჯარი ეყოლება. იმას კი, რაც მოხდა და ახლაც ხდება აფხაზეთში, დროთა განმავლობაში უკლებლივ ვუამბობთ მკითხველს.

ამით ჩვენი საუბარი დასრულდა. ოჩამჩირელ მეომრებთან ერთად, რომელთა შორისაც ნახავდით საქართველოს თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენლებს, გენერალი გუჯაბიძე სასწრაფოდ გაემართა სოფელ ტამიშის რაიონში, სადაც გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა...

როცა ნოდარ გუჯაბიძის წინაშე წამოიჭრა პროფესიის არჩევანის საკითხი, უყოყმანოდ აირჩია სამსახური არმიაში. ასე უანდერძა მას მამამ, ასე უკარნახა გულმა. 1947 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ნოდარი გახდა თბილისის ქვეითი ჯარის სასწავლებლის კურსანტი (შემდეგ მას 26 ბაქოელი კომისრის სახელობის მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებელი უწოდეს).

ნოდარ გუჯაბიძე დაიბადა 1929 წლის 20 იანვარს ქალაქ ქუთაისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. როგორც სამხედროთა შვილებს სჩვევით ხოლმე, ნოდარმაც რამდენიმე სკოლა გამოიცვალა. ომის დაწყების წინ ლვოვის საშუალო სკოლაში სწავლობდა.

მისი მამა, საბჭოთა არმიის კადრის ოფიცერი აკაკი გუჯაბიძე ომის დაწყების დღიდან — 1941 წლის 22 ივნისიდან გაგზავნეს ფრონტზე და გმირულად დაიღუპა პოლტავის მისადგომებთან.

1950 წელს ნოდარ გუჯაბიძე, რომელმაც პირველი თანრიგით, ანუ წარჩინებით დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, როგორც ნიჭიერი და მუყაითი ოფიცერი, მშობლიურ სასწავლებელში დატოვეს ოცეულის მეთაურად. ბეჯითი, მოკრძალებული ახალგაზრდა მეთაური ცდილობდა გაემართლებინა ეს დიდი ნდობა. მისი ოცეული მალე ერთ-ერთი საუკეთესო გახდა სასწავლებელში.

დღითი დღე ვაჟკაცდებოდა ახალგაზრდა ლეიტენანტი, ცდილობდა გაემდიდრებინა ცოდნა, ბევრს კითხულობდა, მეთაურისათვის საჭირო ჩვევებს ეუფლებოდა. ასეულის მეთაურად დანიშნეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ შენაერთში, 1956 წელს კი სამსახურის გასავლელად გაგზავნეს ჯარების სამხრეთ ჯგუფში, შემდეგ — იმიერკარპატეთის სამხედრო ოლქში. საკმაოდ შთამბეჭდავია ქართველი ოფიცრის იმ წლების ნამსახურობის ნუსხა: ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე, ბატალიონის მეთაური, პოლკის შტაბის უფროსი, პოლკის მეთაური, დივიზიის მეთაურის მოადგილე, 1965 წელს ნოდარ გუჯაბიძე დაუსწრებლად ამთავრებს ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიას. შემდეგ მან სამსახური განაგრძო გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფში.

1971 წელს პოდპოლკოვნიკი ნ. გუჯაბიძე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის კ. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელი გახდა.

ნოდარ გუჯაბიძე უკვე პოლკოვნიკი იყო, როცა დივიზიის მეთაურის პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნეს ოდესის სამხედრო ოლქში.

დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე ექვსი წლის სამსახურის შემდეგ გენერალ გუჯაბიძეს ნიშნავენ ახალ პასუხსაგებ პოსტზე იმიერკარპატეთის სამხედრო ოლქის შტაბში. ოთხმოციანი წლების დამდეგს სწორედ აქ გაიცნო მან გენერალი ანატოლი კამკამიძე.

1982 წელს გენერალ-მაიორი ნოდარ გუჯაბიძე სამხედრო მრჩევლად გაგზავნეს ავღანეთში, სადაც წელიწადზე მეტ ხანს დაჰყო... გავიდა წლები და გუჯაბიძე მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა. როცა დაიწყო ეროვნული გვარდიის შექმნა, გენერალი გუჯაბიძე იყო იმ პატრიოტთა შორის, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მისი ჩამოყალიბება-განმტკიცებისათვის. გარკვეულ ხანს გენერალი გუჯაბიძე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი შტაბის უფროსად მსახურობდა.

ლევან დოლიძე.

სურათზე: გენერალ-მაიორი ნ. ა. გუჯაბიძე.

იქმნება სპეცდანიშნულების ლეგიონი

როგორც გაცნობეთ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა ჩამოაყალიბოს სპეცდანიშნულების ლეგიონი. მას დაეკისრება თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სადღეღამისო პატრულირება, დამნაშავე ელემენტების გამოვლენა და დაკავება, უნებართვო იარაღის ჩამორთმევა, რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე ყაჩაღური თავდასხმების აღკვეთა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა ჯემალ გორგიაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ უკვე დაიწყო სპეცდანიშნულების ლეგიონის ფორმირება. მასში ჩაირიცხებიან პოლიციის გამოცდილი, კვალიფიციური, დამნაშავეობასთან ბრძოლაში გამოწრთობილი, პატიოსანი და დისციპლინიანი თანამშრომლები.

თბილისისა და სხვა ქალაქების მოსახლეობა სამართლიან საყვედურებს გამოთქვამს იმის გამო, რომ შებინდებისთანავე საშიშია ქუჩაში გამოსვლა, დაძრწიან შეიარაღებული მძარცველები, ისმის სროლა.

ლეგიონი აღიჭურვება სათანადო ტექნიკით. იგი გახდება მობილური ძალა, რომელიც შეძლებს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე აღკვეთოს ბოროტმოქმედება.

ამ შემაშფოთებელი ვითარების აღსაკვეთად პოლიციის სპეცდანიშნულების ლეგიონი ქალაქებში განახორციელებს პატრულირებას, ავტოტრანსპორტისა და საეჭვო პირების კონტროლს.

ლეგიონი უახლოეს დღეებში შეუდგება თავისი რთული, მაგრამ უაღრესად საპატიო დავალების შესრულებას.

გულიკო მარკოზაშვილი.

რესპუბლიკის პროკურატურის ცნობა

რესპუბლიკის პროკურატურამ საერთო ზედამხედველობის წესით შეამოწმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვარგარეთის პასპორტის ცარიელი ბლანკების გაცემისა და შემდგომი რეალიზაციის საკითხი. შემოწმებით დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1992 წლის მაისში უკანონოდ მისცა 1000 ცალი საზღვარგარეთის პასპორტის ცარიელი ბლანკი ბათუმის უნივერსიტეტთან არსებულ ახალგაზრდულ საწარმოო გაერთიანება „ჭორჭიას" (გენერალური დირექტორი — პაატა შავაძე). საწარმოო გაერთიანება „ჭორჭიას" თანამშრომლებმა აღნიშნული პასპორტის ბლანკები თითოეული 200 მანეთად გაყიდეს და მიღებული თანხა მიითვისეს.

საზღვარგარეთის პასპორტის ცარიელი ბლანკებიდან 250 ცალი 50.000 მანეთად შეისყიდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო მუშაობის, ვიზების, უცხოელთა რეგისტრაციის სამმართველოს თანამშრომლებმა, საიდანაც ამოიღეს ოთხი პასპორტი, შევსებული მოქალაქეების გურჩენკოს, მიხაილოვას, მაგარლამოვის და დვალის სახელზე.

აღნიშნული ფაქტის გამო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ 1992 წლის 30 ნოემბერს აღძრა სისხლის სამართლის საქმე 7492845 (დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 და 94-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

გამოძიებას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტი გვატყობინებს

შეხლა-შემოხლამ დიდი დრო წაიღო

რუსეთის სახალხო დეპუტატთა მეშვიდე ყრილობა დაძაბულ ვითარებაში დაიწყო. პარლამენტის წევრები კატეგორიულად იყვნენ დაყოფილი ოთხ ფრაქციად და მათი შეხების წერტილები აგრესიულობის სიმწვავეზე მიგვანიშნებდა. ჯერ იყო და, დღის წესრიგზე ატყდა დავიდარაბა, დეპუტატთა ერთ ჯგუფს სურდა პირველად გაიდარისთვის მოესმინა, როგორც „მთავარი დამნაშავისთვის", მეორენი კი პრეზიდენტის ახსნა-განმარტებას ითხოვდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ და სპიკერს დაუჯერეს, რომელმაც დღის წესრიგი კბილებით დაიცვა და თავისიც გაიტანა. შეხლა-შემოხლამ დიდი დრო წაიღო, ამიტომ გეგმით გათვალისწინებული სხდომის პირველ ნახევარში მოესმინათ პრეზიდენტისთვის, შემდეგ ხასბულატოვისთვის და გაიდარისთვის, არ მოხერხდა. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენება ყრილობის მეორე დღისთვის გადაიდო.

ბორის ელცინის გამოსვლას ძალიან ცივად შეხვდა დარბაზი, რუსეთის პრეზიდენტი სტანდარტული სიტყვით წარსდგა ყრილობის წინაშე. არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ანალიზს თავი აარიდა და აუდიტორიას სტაბილურობის აუცილებლობა აუწყა. ბორის ელცინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი ფეხზე ვერ დადგება, თუ კი სულ ცოტა წელიწადნახევარი სიმშვიდე არ დამყარდა, პოლიტიკური პარტიები და ფრაქციები კომპრომისს თუ არ დათანხმდნენ. ფრიად აგრესიული ტონი ჰქონდა პარლამენტის სპიკერის გამოსვლას, რომელმაც მოინდომა გაეცამტვერებინა გაიდარისა და მისი რაზმის ეკონომიკური რეფორმის მოდელი, ციფრებითა და ფაქტებით დაემტკიცებინა, რომ თუ დღესვე არ გადადგა მთავრობა, ხვალ უკვე რუსეთი ჩაიძირება.

ხასბულატოვის გამოსვლას დარბაზის უმრავლესობა ოვაციით შეხვდა. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, გაიდარს ნაკლები შანსი ჰქონდა პარლამენტის წევრებისთვის ეთქვა სიმართლე და ეს სიმართლე უმრავლესობას გაეგონა. მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გამოსვლა მაინც შედგა, და მისი მოხსენება ისეთი გულწრფელი, საქმიანი, ღრმა და უკომპრომისო იყო, რომ გაიდარმა პირველი წუთებიდანვე შეძლო ოპოზიციის დამორჩილება, მან უკვე ტაქტიანად, ზომიერად გასცა პასუხი ხასბულატოვის მიერ წაყენებულ ბრალდებებს, აბსურდად აქცია ისინი, და ძალზე ლოგიკურად დაიცვა რეფორმის თავისეული გზა.

ყრილობის პრესცენტრმა პირველ დღეს რუსეთისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან ათასზე მეტი დეპეშა, ღია წერილი, მიმართვა, განცხადება მიიღო სხვადასხვა მტკივნეულ საკითხებზე.

მათ შორის იყო ე. წ. სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს 19 ნოემბრის მიმართვაც. იგი რუსეთის უზენაეს საბჭოსა და დეპუტატთა მეშვიდე ყრილობას სთხოვს დაეხმარონ, „ბოლო მოუღონ საქართველოში ოსების „გენოციდს", ცნოს სამხრეთ ოსეთის სტატუსი და მიიღოს ისინი რუსეთის მფარველობის ქვეშ".

კლარა აბრამია.

ლტოლვილები რუსეთის ტერიტორიაზე

დღეისათვის რუსეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 470 ათასი ლტოლვილია და თითქმის 800 ათასი იძულებით გადასახლებული. რუსეთის ფედერაციული საიმიგრაციო სამსახურის მონაცემებით, ლტოლვილთა რიცხვმა 1993 წლის დამლევისათვის შეიძლება 2 მილიონს მიაღწიოს.

გაზეთის გამოცემაც დაიწყეს

ეგრეთ წოდებული კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ოპერატიულმა შტაბმა, რომელიც გუდაუთაში მოქმედებს, დაიწყო გაზეთის „კონფედერაცია" გამოშვება. გამოშვებულია პირველი ნომერი 25 ნოემბრის თარიღით. არ არის მითითებული არც ტირაჟი და არც გამოცემის ადგილი.

პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია კონფედერაციის ლიდერების მუსა შანიბოვისა და იუსუფ სოსლანბეკოვის წერილები, რომლებშიც ისინი გმობენ კავკასიაში ოფიციალური სტრუქტურების „პროიმპერიულ და პროკომუნისტურ პოლიტიკას". მ. შანიბოვი მოუწოდებს უცხოეთში „თანამემამულეებს" დაეხმარონ აფხაზეთს.

მეათე მუზა

გიორგი დანელიას მთიანეთი

სოფიო გველესიანი

სამწუხაროა, როცა კინორეჟისორ გიორგი დანელიას, როცა განიზრახა [illegible] დაედგა მისი საყვარელი ფრანგი მწერლის კლოდ ტილიეს რომანის „ბიძაჩემი ბენჟამენის“ მიხედვით ფილმ „არ დაიდარდო“ გადაღება [illegible], თუ რა დღეში ჩავცვივდებოდით ახლა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ფილმების რეტროსპექტივა მაყურებელთათვის ესოდენ მარჯვედ წარმოდგენილმა „ოსტანკინოს“ ტელესტუდიის მიერ, კვლავ გაგვახსენა ცნობილი ჭეშმარიტება: ნამდვილი ხელოვნება არ ძველდება. იგი ყოველთვის შეიცავს კინოში ესოდენ ხშირად მიმქრალ ბედ-იღბლის ხაზებს მიმართ [illegible] რაღაც ფენომენს, ან, თუ გნებავთ, ვირუსს, ბედ-იღბლისა, რომელიც (რაოდენ უცნაურადაც უნდა გაისმოდეს ერთი შეხედვით) უზრუნველყოფს მისი ფილმების თანამედროვეობას. თითქოს უჩინარი ძაფები ყოფილიყოს გაბმული იმათგან ჩვენამდე...

ტრაგიკომედია გიორგი დანელიას საყვარელი ჟანრია. ამიტომ მეც ზემოთ გამოთქმული აზრის დასტურად [illegible] ფაქტით, რომელიც ერთია და იმავე დროს დრამატულიც არის და თავშესაქცევიც. ასეთი რამ მიამბეს: თბილისის ერთ-ერთ სკვერში სულ ახლახან რამდენიმე კარგი ნაცნობი შეხვედრია ერთმანეთს. მთლად მოხუცებიო, ვერ იტყოდით მათზე, მაგრამ არც ახალგაზრდები ეთქმოდათ. ზოგი აქეთური თქვენს, ზოგი — იქითური და ბოლოს ცალ-ცალკე ავარდნილ ფასებზე ჩამოვარდა საუბარი, მათ შორის ადამიანის იმ ქვეყნად წასვლასთან დაკავშირებულ იმ სამგლოვიარო იდათ-წესების ხარჯებზეც. მოდა, ერთ-ერთს ნაღვლიანად ხუმრობით უთქვამს: შვილები რომ არ შევაწუხოთ, მოდი, ფსონს ჩამოვიღებთ და ყველამ ერთად, ჩვენ კიდევ სანამ სული გვიდგას და ძალა შეგვწევს, ჩვენ-ჩვენი ქელეხი გადავიხადოთო... მიამბეს ეს და მომაგონდა ფილმი „არ დაიდარდო“, რომელშიც ჭარმაგი ექიმი ლევანი (სერგო ზაქარიაძემ რომ ასე ბრწყინვალედ განასახიერა) სწორედ ასე მოიქცა, თუმცა მიზეზი სულ სხვა ამოძრავებდა: სიკვდილი რომ კარს მოადგა, იცის, მაგრამ სწადია „ცოცხალმავე მოისმინოს ის, რასაც მასზე მისი გარდაცვალების მერე იტყვიან“.

ამის მსგავსი პარალელები, რომლებიც ნამყოდან აწმყოში მოდიან, დანელიას შეიძლება ერთობ ბევრი გამოუძებნო, მაგრამ გავიხსენოთ კიდევ ერთი, იგორ ტალანკინთან ერთად გადაღებული მისი პირველი ფილმი „სერიოჟა“, შთაგონებული ვერა პანოვას შემოქმედებით. შევნიშნავთ, რომ ვერა პანოვამ მაინცა და მაინც არ ისწამდა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა წარმატება. გაიხსენეთ ხუთი წლის სერიოჟა, რომელიც დედიკოს და ახალ მამიკოს არაფრით არ შეუძლიათ წაიყვანონ ახლა ხოლმოგორს — ახალგაჩენილი ბავშვი მთელ მათს ყურადღებას იპყრობს. ბოლოს და ბოლოს სერიოჟაც მიჰყავთ ხოლმოგორს. აი, ეს არის მთელი ქარგა... მაგრამ მანამდე... რაოდენი ცნობისმოყვარეობა, ჭეშმარიტების შეტყობის რაოდენი წყურვილი გამოსჭვივის სერიოჟას (ბორის ბარხატოვის) მზერაში, როცა თავის მოარულ თქმად ქცეულ შეკითხვას სვამს: „ძია ვასია, აფრენ?“ ფილმი 1960 წელს გამოვიდა, მაგრამ განა ახლა, როცა ამა თუ იმ სახელმწიფო წარმონაქმნში მიღებული ამა თუ იმ დადგენილების ამბავს შევიტყობთ, გაკვირვებულნი მხრებს არ ავიჩეჩთ და უკვე ცნობილი „ძია ვასია (სახელი შეიძლება სხვაც იყოს!), აფრენ?“ არ გვახსენდება ხოლმე?

კიდევ ერთი პარალელი... როცა ბოლოს და ბოლოს ჩვენში [illegible] იწყო ძმათამკვლელმა ომმა, როცა ძნელია არ გახსოვდეს, სადაც უნდა ცხოვრობდე, ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიღებული მილიონობით ლტოლვილი, განა არ გვაგონდება ადამიანთა ძმობის აურა, ესოდენ მძლავრად რომ იჩინა თავი ფილმში „მიმინო“? უძროხოდ თავი ვერ წარმოუდგენია მოხუც გლეხ ქალს, რომელმაც მაინც დაიყოლია ვალიკო მიზანდარი და თავისი ძროხა ვერტმფრენით გადააყვანინა აქ, „სადაც მისი ამბავი არ იციან“. უმიმინოდ თავი ვერ წარმოუდგენიათ ვერც მოსკოველებს: ახალგაზრდა ადვოკატ ქალს, რომელიც ვალიკო მიზანდარს იცავს სასამართლო პროცესზე, ძველ მფრინავს (რომელსაც ევგენი ლეონოვი განასახიერებს, დანელიას ერთგვარი თილისმა, ყოველ ფილმში რომ გამოჰყავს), ვისაც ვალიკო თავისი ფრონტელი მეგობრის ვაჟიშვილი ეგონა და ვინც დაეხმარა მას თავისი ოცნების ხორცშესხმაში — სამუშაოდ მოაწყო საერთაშორისო ავიარეისებზე. რუბიკ ხაჩიკიანთან შეხვედრა? (ვახტანგ კიკაბიძის და ფრუნზიკ მკრტჩიანის ბრწყინვალე დუეტი არ ეწინააღმდეგება რეჟისორის დაწვრილებით პარტიტურას).

ადამიანთა ძმობის აურა. კიდევ ერთი შტრიხი და მერე როგორი! ტელეფონით საუბარი თელ-ავივთან და არა ვალიკოს შეკვეთილ თელავთან, რომელზეც არაფერი გაეგება უცხოეთის ტელეფონისტ გოგონას. აქაც გულის ჩამწყვეტი დუეტი ვალიკოსა და ვიღაცისა (ეკრანზე ის არ ჩანს. მარტო ხმა ისმის მისი), რომელმაც საქართველო დატოვა (მაგრამ გულიდან არ ამოიღია) თავისი ისტორიული სამშობლოს გულისთვის.

გიორგი დანელიას შემოქმედების მუდამმყარ თანამედროვეობაზე მკითხველს აზრს რომ ვუზიარებ და უმთავრესად მის „ქართულ ფილმებს“ ვეხები, აღარას ვამბობ მის ფილმზე „პასპორტი“, რომელიც სულ ახლახან დაასრულა. დროის მიხედვით ეს ფილმი ჩვენთან ახლოა, თუმცა ზოგი რამ მასში უკვე ისტორიად არის ქცეული. მარტო იმას ვიტყვი, რომ — „პასპორტი“ ჩემი აზრით, იმ მთიანეთის ერთ-ერთი მწვერვალია, რომელსაც გიორგი დანელიას შემოქმედება ეწოდება.



ეს მთიანეთი ყოველი მხრიდან ჩანს და, სადაც კი გიორგი დანელიას ფილმებს ჩაუღწევია, ყველგან აღიარებულია. შევახსენებთ, რომ პირველმა ფილმმა „სერიოჟამ“ კარლოვი-ვარში გამართული საერთაშორისო ფესტივალის „ბროლის გლობუსი“ მიიღო (რაც ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმა ვერც კი დაიჯერეს, ეგონათ, [illegible]). მერე, უკვე მარტოს, სხვა ფესტივალების ჯილდოები მიენიჭა — „პალენკეს ოქროსთავი“ აკაპულკოში, „კონდორი“ მარ-დელ-პლატაში, ჯილდოები სალონიკსა, მილანსა, ვანკუვერსა და სტრეტფორდში, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი. გარდა ამისა, დანელია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის და ძმები ვასილიევების სახელობის რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს მისი ჭეშმარიტად ნატიფი მუშაობა აქტიორებთან (რომლებიც მასთან თავს მუდამ კარგად გრძნობენ, თუმცა კი შავ დღეში არიან). ეს რომ ასეა, ამას ადვილად ირწმუნებთ, თუ გაიხსენებთ ისეთ ფილმებს, როგორიც არის „მე მოსკოვში დავაბიჯებ“, „ოცდაცამეტი“, „ნავმისადგომის გზა“, „აფონია“, „ცრემლები სდიოდა“, „შემოდგომის მარათონი“ (ბუზიკინის როლში — ოლეგ ბასილაშვილი)... გიორგი დანელიას მთიანეთში ბრუტალობას, ტლანქ, [illegible], უზარმაზარ ნამუშევარს ვერსად ვერ შეხვდებით... ეს საყოველთაოდ აღიარებულია და ამიტომაც მისი ფილმები ჩვენი საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენებს ძალიან მოსწონთ. მაგრამ არის ხოლმე გამონაკლისიც. ერთი თუ მოსწყდა, პირობითად ვთქვათ, დედამიწას და კოსმოსურ სივრცეში გაიჭრა „კინძა-ძაში“, ან [illegible] „სულ მთლად წყალწაღებულში“, მისი ფილმების მადლიერ მაყურებელთა ერთობა, თუნდაც არათანაბარ ნაწილებად, მაგრამ მაინც, უმალვე იყოფა.

ახლა სხვაცა ვთქვათ. გიორგი დანელიას კომედიოგრაფად არ მიაჩნია თავი. თუ შევეცდებით განვსაზღვროთ მისი ადგილი კინემატოგრაფისტთა რიგებში, რაღა თქმა უნდა, მას იმ რიგში ვიპოვით, რომელშიც პირველი დგას ჩარლი ჩაპლინი თავისი ისეთი ფილმებით, როგორიც არის, მაგალითად, „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, „ახალი დროება“ და სხვები.

ტყუილად არ უთქვამს, ალბათ, სერგი ბონდარჩუკს, „ჩვენს კინოში დანელიასდარი სხვა რეჟისორი არ მოიპოვებაო“...

ვახტანგ კიკაბიძეს: „დანელიამ ყოველთვის იცის აქტიორის შესაძლებლობანი, ნიჭის ზღვარი და სახის შექმნის დროს ამას ეყრდნობაო“...

სოფიკო ჭიაურელს: „ძნელია რამის თქმა, როცა ლაპარაკია ესოდენ მახლობელ ადამიანზე, მაგრამ მაინც, მგონია, რომ გია დანელიას ნატიფი, უნიკალური, წმინდა ქართული იუმორის გრძნობა აქვს, რომელიც გამჭოლ ზოლად გასდევს ყველა მის ფილმსო“.

დიახ, საქართველო ძალუმად იჭრება მის ჩანაფიქრში, ყოველდღიურობაში, შემოქმედებით ცხოვრებასა და, მგონია, სიზმრებშიც კი. იგი თბილისში დაიბადა და მოსკოვში ცხოვრობს. კინოხელოვნებას დაბადებიდანვე ეზიარა — დედამისი, მერი ანჯაფარიძე, დაუვიწყარი ვერიკოს და, „მოსფილმში“ მეორე რეჟისორად მუშაობდა. სტაჟიან მაყურებლებს ეხსომებათ მისი გვარი ტიტრებიდან. მამა მოსკოვის მეტრომშენის მთავარი ინჟინერი იყო (ეტყობა, შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ სწორედ მეტროს მუშაა მთავარი გმირი ფილმისა „მე მოსკოვში დავაბიჯებ“, რომელიც ნიკიტა მიხალკოვმა განასახიერა).

ახლა რას აკეთებს რეჟისორი? ახალ ფილმზე მუშაობს, რომელსაც „თეთრი ცეკვა“ ჰქვია, რაზეა ფილმი? მაგრამ დანელიას არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, რაშიც დარწმუნდებოდით მისი ფილმების სატელევიზიო რეტროსპექტივის დაწყებისასაც და „პასპორტის“ ამასწინანდელ პრეზენტაციაზეც საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში: სულ რამდენიმე ფრაზით მიმართა მან მაყურებელს, რომელსაც მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა ეწადა.

სიტყვაძუნწი დანელია ერთობ გულუხვია, როცა თავის თავს გამოხატავს ფილმებში — აგერ უკვე ოცდაათ წელზე მეტია თავისი გონების, ხელის, ნიჭის ამ ქმნილებებით ესაუბრება ადამიანებს და იმას ცდილობს, რომ ხალხმა მისი გრძნობები და იდეები გაიზიაროს. ვერ ვიტყვი, რომ ეს იდეები ახალია. არა, ეს იდეები ისევე ძველია, როგორც სამყარო. ეს არის ადამიანთა სულიერი სიახლოვის, სულიერი ნათესაობის იდეები. სწორედ ამ იდეებს სჭირდება დაცვა. აქ უპრიანი იქნება ალბერტ აინშტაინის სიტყვები: „კაცობრიობას ყველა საფუძველი აქვს იმისათვის, რომ მორალურ ფასეულობათა მაცნე მეცნიერულ ჭეშმარიტების აღმომჩენზე მაღლა დააყენოს!“ და, დავძენ, ჯეროვანი მიუზღოს იმას, ვინც ამ იდეებს იცავს და ქადაგებს.

ამინდი და ჩვენი ჯანმრთელობა

გიორგი უშვერიძე,

კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და შეუძლიათ გამოიწვიონ ზოგიერთი დაავადების გამწვავება-გაუარესება, გარკვეული მნიშვნელობა ამინდსაც ენიჭება.

ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს ისეთი ამინდი, რომლის ფორმირება რთულ ატმოსფერულ პროცესებთან არის დაკავშირებული. ამ დროს მოსალოდნელია ბარომეტრული წნევისა და ტემპერატურის მერყეობა, ქარი, ღრუბლიანობა და ნალექები, ელექტრული ველის ცვალებადობა და სხვა მეტეოროლოგიური პროცესები.

ორგანიზმზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს გეოფიზიკურმა პროცესებმაც, კერძოდ, მაგნიტურმა ქარიშხლებმა. მაგნიტური ქარიშხლები, ანუ დედამიწის მაგნიტური ველის მკვეთრი ცვალებადობა, მზის აქტიურობის პერიოდულ გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. მაგნიტური ქარიშხლების ზეგავლენით მოსალოდნელია ადამიანის ორგანიზმის ბიოელექტრული პროცესების ნორმალური რიტმის დარღვევა და სხვა პათოლოგიური რეაქციების გამოვლენა.

უნდა ითქვას, რომ ჯანსაღი ადამიანის ორგანიზმისთვის უჩვეულო ამინდები და მაგნიტური ქარიშხლები დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ. ავადმყოფ ორგანიზმში, პათოლოგიური პროცესის გამო, ადაპტაციური მექანიზმები შეიძლება დაირღვეს და მეტეოროლოგიური ფაქტორებისადმი განვითარდეს გადაჭარბებული მგრძნობელობა, რამაც შესაძლოა განაპირობოს ე. წ. მეტეოპათოლოგიური რეაქციების ჩამოყალიბება.

ექიმი გვირჩევს

ჭარბი მეტეომგრძნობელობა უფრო ხშირად გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემით დაავადებულ ავადმყოფებში ვლინდება და პათოლოგიური პროცესის გამწვავების სახეს იღებს (არტერიული სისხლის წნევის მომატება, სტენოკარდია, გულის რითმის დარღვევა, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში სისხლის მიმოქცევის მოშლა და სხვა).

როგორც საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში ჩატარებულმა მრავალწლიურმა დაკვირვებებმა ცხადყო, მეტეოპათოლოგიური რეაქციები ადამიანებმა უფრო ხშირად გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე გრძნობენ, როდესაც მეტეოროლოგიური პროცესები განსაკუთრებით ინტენსიურია, და ნაკლებად — ზაფხულსა და ადრე შემოდგომის თვეებში.

მეტეოპათოლოგიური რეაქციების პროფილაქტიკა და მკურნალობა თანამედროვე მედიცინის, კერძოდ, კურორტოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

არსებობს მრავალი პროფილაქტიკური საშუალება, მაგრამ ყველაზე ეფექტურია კლიმატოთერაპია, ბალნეოთერაპია, ფიზიოთერაპია და სამკურნალო ფიზკულტურა.

დადგინდა, რომ ამ ფიზიკური ფაქტორების გამოყენებისას ავადმყოფი ორგანიზმის ჭარბი მეტეომგრძნობელობა მცირდება, ადაპტაციური მექანიზმები უფრო სრულყოფილი ხდება და არახელსაყრელი ამინდისა და მაგნიტური ქარიშხლების ზეგავლენით მეტეოპათოლოგიური რეაქციები აღარ ვითარდება.

მიზანშეწონილია ფიზიკური ფაქტორებით პროფილაქტიკური კურსების ჩატარება ზაფხულში და ზამთარში, რაც ავადმყოფს დაიცავს გაზაფხულისა და გვიანი შემოდგომის თვეებისთვის დამახასიათებელი მეტეოპათოლოგიური მდგომარეობისგან.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ოცნების ნავსადგური — ქაღალდზე...

ლია ჩახუნაშვილი

არავინ უწყის, როგორ მოხვდა ამ უდაბნოში მცირე კედელი, ქვიშის ოცნებით დამშვენებული, ის კი იციან, ოაზისი არარსებული, მხოლოდ ამ სარკის კუთვნილებაა, სხვა არაფერი.

შენიშვნა: კედელზე ჰკიდია სარკე და არა სურათი. სარკე, რომელიც აირეკლავს არა უდაბნოს, არამედ ოაზისს — ჩემი სათქმელი ამით მოვათავე“.

„უზარმაზარი მიწის მოძრავი სფერო უდაბნოში, ნაწილობრივ შევსებული წყლით. ეს იქნება ქარით მოძრავი ტბა უდაბნოში — მგორავი ოცნება. კარგია, როდესაც ადამიანს აქვს უფლება იოცნებოს თუნდაც არარეალურზე — უდაბნოში შეხვდეს ოაზისს იქ, სადაც მას არ ელოდება. ჩემი სფერო — მოძრავი ოაზისი სიცოცხლის ემბლემად იქცევა“...

ამ სიტყვებით გამოხატეს თავიანთი ნამუშევრების იდეები კონკურსში „ქაღალდის არქიტექტურა — მინის ოაზისი უდაბნოში“ გამარჯვებულებმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა რატი ჩომახიძემ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა არჩილ კალატოზიშვილმა.

კონკურსი, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ხუროთმოძღვრის მიხეილ შავიშვილის ხსოვნას, 18 ნოემბერს მოეწყო ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში. მასში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის ინსტიტუტისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა.

კონკურსი

ქაღალდის არქიტექტურა ხუროთმოძღვრული ფანტაზიის, ოცნების სფეროა — არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია არ საჭიროებს სარეალიზაციო საშუალებებს. დღეს პრაგმატიზმი და რაციონალიზმი ზემოქმედებს არქიტექტურულ აზროვნებაზე და ავალებს ერთგვარ შემოქმედებითს თვითცენზურას. დიდი ადგილი არ რჩება არქიტექტურულ უტოპიებს, ჰიპერბოლებსა და მეტაფორებს. სარგებლიანობის პრაგმატი ემუქრება სულიერ ფასეულობათა პრიმატს. არადა, არქიტექტურა ხომ პოეზიასაც გულისხმობს...

კონკურსმა მიზნად დაისახა სტუდენტობაში სწორედ შეუზღუდავი შემოქმედებითი ფანტაზიის ამოქმედება — საკონკურსო არქიტექტურული მოდელით სილამაზისა და მაქსიმალური ფსიქოემოციური კომფორტის შექმნა.

სტუდენტობის ენთუზიაზმი და ნიჭიერება თავად ჟიურისთვისაც (რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ საქართველოს ყველაზე ცნობილი არქიტექტორები — ვახტანგ დავითაია, გიორგი ბათიაშვილი, კოკა ამირეჯიბი, გია შაიშმელაშვილი, იოსებ ქოიავა და სხვები) მოულოდნელი აღმოჩნდა.

20 ნოემბერს, საკონკურსო პროექტების გამოფენის შემდეგ გამოცხადდა კონკურსის შედეგები. ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის, კონკურსის სპონსორების — შემოქმედებითი სტუდია „არსის“, ასოციაცია „საქართველოს“ და სხვათა მიერ დაწესებული ფულადი პრემიებითა და წამახალისებელი ჯილდოებით აღინიშნა 20-ზე მეტი ნამუშევარი.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა გოჩა ჩოგოვაძემ, რომელიც სტუდენტებს უცხოეთთან შემოქმედებითი და სასწავლო კონტაქტების დამყარებაში ხელისშეწყობას შეჰპირდა.

გადაწყდა, რომ კონკურსი მოეწყობა სისტემატურად და თანდათანობით საერთაშორისოდ გადაიქცევა.

სურათზე: კონკურსში — „მინის ოაზისი უდაბნოში“ გამარჯვებულები: არჩილ კალატოზიშვილი (მარჯვნივ) და რატი ჩომახიძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ინფორმაცია

მოკლე-მოკლედ

თამარაშენში უნივერმაღი გაიხსნა

სამაჩაბლოში თამარაშენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია. ქართველ-ოსთა კონფლიქტის მანძილზე ეს სოფელი ცხინვალელ ექსტრემისტთა მთავარი სამიზნე იყო. სოფელს უშენდნენ რაკეტებს, ხდებოდა თავდასხმები. არა ერთი და ორი ოჯახი ატირებულა: ომმა ბევრი ვაჟკაცი შეიწირა, თამარაშენში მრავალი სახლი და ნაგებობა დაინგრა, მათ შორის სოფლის ცენტრალური უნივერმაღიც.

გორის გამგეობის გადაწყვეტილებით ამ ზაფხულს დაიწყო თამარაშენის უნივერმაღის აღდგენის სამუშაოები, მშენებლობა ეს-ეს არის დამთავრდა და გუშინ უნივერმაღი საზეიმოდ გაიხსნა. გორის რაიკოოპკავშირმა უნივერმაღში შემოიტანა დიდძალი სურსათი და სამრეწველო საქონელი.

ეს წუხელ რედაქციას აცნობა გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ვალიკო დოლიაშვილმა.

სამშობლოს ძლიერებისთვის

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალმეურნეობის“ აღმოსავლეთ საქართველოს მშენებარე ობიექტების დირექციამ საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა 50 ათასი მანეთი.

62:29 ისევ დამნაშავეთა სასარგებლოდ

30 ნოემბერი ისეთი დღე იყო, როდესაც ავტოავარიაში არავინ დაღუპულა. კარგი ნიშანია.

სამწუხაროდ, კრიმინოგენული სიტუაცია სულ უფრო მძაფრდება — ბოლო ორი დღის მონაცემები სწორედ ამ ტენდენციას ადასტურებს.

სისხლის სამართლის სამძებრის ხაზით დაფიქსირებულია 62 დანაშაული, გახსნილია მხოლოდ 29; მკვლელობა — 3 (ორი — გახსნილი), სახელმწიფო ქონების ქურდობა — 6, ყაჩაღობა — 26; გაიტაცეს 12 ავტომანქანა, გამტაცებლები მხოლოდ სამ შემთხვევაში დაადგინეს; 1 დეკემბერს ავტოავარიას 2 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

წიგნის ხელახლა დაბადება

თამაზ ებანოიძე

დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის უკვდავ სახელთან დაკავშირებული ყოველი ახალი ამბავი, რასაკვირველია, საგანგებო ყურადღების ღირსია. გამომცემლობა „მეცნიერებამ“ ქართულ ენაზე გამოსცა ნიკო მუსხელიშვილის მონოგრაფია „კოშის ტიპის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ამოცანისათვის“. ეს ნაშრომი ჯერ კიდევ 1922 წელს ფრანგულ ენაზე გამოვიდა „ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემით“ (ასე აწერია სატიტულო ფურცელს). ფრანგული გამოცემის ქართულ წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა: „ჩემი მიზანი იყო, რომ ეს წიგნი პირველად ქართულად გამეცა და შემდეგ იგი მემუარის სახით ერთ უცხოურ ჟურნალში დამებეჭდა“. გარემო მიზეზებმა მაშინ ერთბაშად შეგვაწყვეტინა ევროპასთან ნორმალური ურთიერთობა. ვრცელი მემუარის დაბეჭდვა უცხოეთში შეუძლებელი გახდა. ამან მკვლევარი აიძულა როგორც თვითონვე ამბობს, წიგნი თბილისში ყველა მათემატიკოსისთვის გასაგებ ენაზე გამოექვეყნებინა.

ნიკო მუსხელიშვილის ამ ნაშრომს იცნობდნენ, მაღალ შეფასებას აძლევდნენ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მათემატიკოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ჟაკ ადამარი (რომლის წერილი ბატონ ნიკოს საოჯახო არქივში ინახება), პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები ვლადიმერ სტეკლოვი და დიმიტრი ტამარკინი — მათ ოფიციალური რეცენზიები გამოგზავნეს.

წიგნის ქართული გამოცემის რედაქტორის, პროფესორ ლევან მაღნარაძის მართებული შენიშვნით, მისი მნიშვნელობა და სარგებლობა იმ გარემოებითაა განსაზღვრული, რომ ავტორი თანამედროვე მათემატიკური ანალიზისა და უწყვეტ სხეულთა მექანიკის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი ბრძანდებოდა, ნიკო მუსხელიშვილის ეს მონოგრაფია დაედო საფუძვლად მისსავე შემდგომ გამოკვლევებს, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სხვა მეცნიერთა პირველხარისხოვანი შედეგები მათემატიკური ფიზიკის სხვადასხვა დარგში.

წიგნის გამოსვლა გათვალისწინებული იყო ნიკო მუსხელიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის (1991 წ.). ჩვენი უკიდურესი გაჭირვების ჟამს ამ მონოგრაფიის გამოჩენა, ალბათ, პოლიგრაფიულ გმირობად უნდა ჩაითვალოს.

წიგნი თარგმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ხვედრი ინასარიძემ, რომელმაც ფრანგული ენა მშობლიური ქართულივით იცის.

„დინამო“ — მოწოდების სიმაღლეზე

ვარაუდი, რომ ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ლიდერების — „დინამოსა“ და „ალაზნის“ გუშინდელ შეხვედრაში თბილისელებს გაუჭირდებოდათ მიმდინარე სეზონში საკმაოდ მომძლავრებულ მეტოქესთან თამაში, არ გამართლდა.

მასპინძლებმა სწრაფად აუღეს ალღო [illegible] მეტი მინდორის, მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს ჯურჯაანელთა კართან და [illegible] ფინალურ სასტვენამდე კარგა ხნით ადრე, „მოათავეს“ საქმე — 4:1.

ამ მოგებით დინამოელებმა განიმტკიცეს გამარჯვება გათამაშების პირველ წრეში.

სარბიელზე — მხოლოდ თბილისელები

მხოლოდ მასპინძლები მონაწილეობდნენ თბილისში დასრულებულ საქართველოს ცხენოსნობის პირად ჩემპიონატში.

ორჭიდში, რომელიც [illegible] სვლისა და დაბრკოლებათა გადალახვისგან შედგებოდა, პირველობა მოიპოვა საცხენოსნო-სპორტული ბაზის მხედარმა გიორგი დოლობერიძემ. მისი თანაკლუბელი ოქსანა მისკელი უძლიერესი იყო ცხენის გახედნაში.

განათლების სამინისტროს ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის წარმომადგენლებმა როინ მარგიანმა და ჯემალ ბერძენიშვილმა მოიგეს „[illegible] პრიზისა“ და „საქართველოს თასის“ კონკურსები.

ბორჯომი

კვლავ გაიმარჯვეს

ვახტანგ ქარსელაძის მემორიალის მეშვიდე ტურმა მორიგი გამარჯვება მოუტანა ქალთა და ვაჟთა ტურნირების ლიდერებს, თბილისელ მოჭადრაკეებს მაია ლომინეიშვილსა და სერგო მოვსესიანს.

პირველს 7 ქულა გაუხდა, მეორეს — 6.

თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: 1. ქართული ენა-ლიტერატურა და ინგლისური ენა; 2. ქართული ენა-ლიტერატურა და თურქული ენა; 3. ქართული ენა-ლიტერატურა და ებრაული ენა; 4. ისტორია და რელიგიის ისტორია; 5. ფიზიკა და მათემატიკა; 6. ქიმია-ბიოლოგია; 7. სახვითი ხელოვნება და ხელოვნებათმცოდნეობა; 8. დაწყებითი განათლება; 9. სკოლამდელი აღზრდა.
აგრეთვე უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მოსამზადებელ კურსებზე ჩამოთვლილი სპეციალობების შესაბამის საგნებში.

სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგებით. მოსამზადებელი კურსების მსმენელებს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი არ მოეთხოვებათ.
საბუთები მიიღება 20 დეკემბრამდე, 11-დან 15 საათამდე, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის შენობაში — მ. ზანდუკელის ქ. 1 (მეტრო რუსთაველის გვერდით). ტელ.: 93-28-98, 99-80-00, 99-55-09.

უნივერსიტეტის რექტორატი.

— ხომ არ დაგავიწყდათ ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა? —

თუ გინდათ,
რომ ცხოვრებას
არ ჩამორჩეთ
და ყველაფერი იცოდეთ,
რაც დედამიწის
ზურგზე ხდება,
გამოიწერეთ ყველაზე
იაფი ყოველდღიური
ქართული გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა

არ დაგაგვიანდეთ, ხელმოწერის დამთავრებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა!

დღესვე მიაკითხეთ საქპრესის განყოფილებებს!

ჩვენთან დაბეჭდილი რეკლამა თქვენი წარმატების საწინდარია

ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებათა, ფირმების, კონცერნების, კერძო პირთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ნებისმიერი ორგანიზაციისგან, საწარმო-დაწესებულებების, ფირმების, კონცერნებისა და ცალკეულ მოქალაქეთაგან შეუფერხებლად იღებს ყოველნაირ სარეკლამო განცხადებას უძრავ-მოძრავი ქონების, სამრეწველო თუ სასურსათო პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის, ბინების, სათავსოების გაცვლა-გაქირავების შესახებ, კერძო საექიმო პრაქტიკის, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების თაობაზე.
გაცნობებთ, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე რეკლამა-განცხადების გამოქვეყნების ფასი სხვა გამოცემებთან შედარებით გაცილებით იაფი და ხელმისაწვდომია.

ცხონება

ვახტანგ ცაბაშვილი

ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ტერიტორიული უსაფრთხოების სამმართველოს თანამშრომელი ვახტანგ ცაბაშვილი.

მან მხოლოდ 24 წელი იცოცხლა, მაგრამ ბევრი რამ მოასწრო, ადრევე ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და თავისი დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საქმეში.

ვ. ცაბაშვილი 1992 წლიდან მუშაობდა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში, არასოდეს უღალატია საქმისთვის და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა სამშობლოს. ვახტანგ ცაბაშვილის სახელი მუდამ დარჩება მოსაგონებლად მის ოჯახს, მეგობრებსა და თანამშრომლებს.

საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური.

რადიო „თავისუფლება“ (მიუნხენიდან)

GOULNARA K. OURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty
RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY
RFE/RL, INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102-2268
TELEFAX (089) 2285188
TELEX 523228/523904

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე, თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე: 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონზე;
21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონზე;
და დილის 6 ს. და 30 წუთიდან 7 ს. და 30 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11725, 11875, 9595, 9030 და 7180 კილოჰერცის დიაპაზონზე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434

XI